



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი; გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 23 | ივნისი 1 1897 წ. | № 23



შინაარსი: წრევანდელი ბანკის კრების ბიოგრაფია არაგვის-სა.— სხვა-და-სხვა ამბები.— ჯამი პოლიტიკური მდგომარეობისა ოსმალეთში იასე რაჭველისა.— ❋❋❋ ლექსი ფანდისა — თეთრი ბუ.— „კვალის" კორესპონდენციები.— ნავთის სამეფო ს. ქ—ნისა.— გაკვრით (შემდეგი), იას. ეკალაძისა.— კიდევ ფონდების საქმის შესახებ, ან. წერეთლისა.— თუშური სიმღერები.— წერილი რედაქციის მიმართ ერთი სტუდენტთაგანისა.— ზოგიერთი ცუდი თვისებანი მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის წარმოებაში.— გოჯასპირ და ივანიკა, ხიბრეულისა.— განცხადება.


„კვალის" ხელის მომწერლებს მოვაგონებთ, ვისაც ფული არ შემოუტანიათ, დროზე შემოიტანონ.

---

**თამარ დედოფლის** დიდი სურათი (ფერადი წამლებით) დღეის იქით გაიყიდება „კვალის" რედაქციაში 1 მ. 50 კ. (გასაგზავნი ფოსტის ხარჯი 30 კ.)

---

## წრევანდელი ბანკის კრების ბიოგრაფია.

მაისის 20 ს თვალ-წინ გადაგვეშალა განახლებული, ახლათ „გაწმენდილი და განბანილი" თფილისის ბანკის წევრთა წლიური კრება. განქრენ ბნელი ბურუსით მოცულნი მრისხანე ჟამნი. ძმებ შორის ატეხილი ბოროტი დრტვინვა სდუმდა. წრევანდელ კრებაზე ერთმანეთ შორის მტრობა და მძულვარების ჩამი-ჩუმი არ ისმის.

თავად-აზნაურთა დარბაზში მყუდრო მშვიდობიანობამ დაისადგურა. ნელა, აუჩქარებლათ იჩენს თავს საქმის სიყვარული, დინჯი მსვლელობა: გამოიჩევის ჭეშმარიტი ოპოზიცია. წრევანდელი კრება თითქოს მტრებისაგან ნაოხარი ქვეყნის სურათს წარმოადგენს. წარსული მედგარი ბრძოლა თითქოს ძვირათ დაუჯდა გამარჯვებულთ, და, მეფე პიროსთან ერთათ, იმათაც შეუძლიათ თქვან: „კიდევ ერთი ამგვარი გამარჯვება, და აღვიგვებით პირისაგან ქვეყანისაო". მეომარნი ისვენებენ და მათი სიტყვა-პასუხი დაღალული, მშვიდობის მწყურვალე სიტყვა-პასუხია. დღევანდელ კამათს ისეთი ფერი აძევს, თითქოს ყოველი ორატორი თავის თავს ეკამათება და ეწინააღმდეგება. ვთქვათ, ვინმე ონოფრე მარტოთ-მარტო ზის მყუდროთ თავის ოთახში და გულში ანგარიშობს: „რა იქნება, რომ ეს ჩემი საყვარელი საქმე ამ გზით კი არა, აი, იმ გზით წარემართო და წავიყვანოო, იქნება უფრო ჩქარა მიაღწიო სანეტარო მიზანსო". ამ ონოფრის გულის-კითხვას იმ წამსვე ისევ ონოფრისავე გული აძლევს პასუხს: „ნუ, შენ შემოგევლე, ნუ... იარე, ონოფრეჯან, როგორც აქამდე გივლია, და რჯულს გეფიცები, მალე მიაღწევ საწადელსაო".

წრევანდელი ორატორები, უმრავლესათ, ამ

ნოთფრის მოგვარენი არიან. ალძვრენ კითხვას, ისმენენ პასუხს და... სდუმენ, თითქო მოწინააღმდეგეს გულში საკუთარი გულისპასუხი მოიპოვესო. ყველა ეს მოწმობს, რომ ნაომარი კრება დღეს ერთსული და ერთ-სხეულია, ჩვენ კი ყველამ ვუწყით, მკითხველო რომ ყოველი ორგანიზმი უნდა გახდეს ორსული და ერთ-სხეული, თუ სურს, კეთილ საიმედო ბალღი შეძინოს ქვეყანას.

ბ. კობიაშვილი რომ არ იძვროდეს მოუსვენრათ და დრო გამოშვებით წრევანდელი კრების სხეულში, ჩვენ ამ სხეულის ორ-სულობაზე იმედი გადაგვიწყდებოდა.

ეჭვი არ არის, ბ. კობიაშვილი წრფელი მოყვარული და მცოდნეა საქმისა, მაგრამ უნდა გამოუტყდეთ პატივცემულ ორატორს, ერთობ გრძლათ იცის ნძრევა-რყევა და თავის მშობელ ორგანიზმს თან ახარებს და თანაც აწუხებს. შვილმა ცქვიტათა და მოკლეთ უნდა შეითამაშოს დედის სხეულში, თუ სურს, მარტო სიტკბოება შეატყობინოს.

იყო ერთი წამი, როცა ბ. კობიაშვილი გაგვიწყრა და შემოგვიტია: ფეხზე წამოდექით, „გაკვირვება“ აჩვენეთ ბანკის მართველობას, რატომ წესიერათ არ მიჰყავს ბანკის საქმეთა წარმოებაო! ბ. კობიშვილს სურდა, რომ ყოველი ჩვენგანი გაკვირვების ნიშანივით ატუზულიყო თავის ადგილზე, ჩვენ კი მდუმარე მრავალ წერტილებივით დავრჩით თავ-თავის ალაგას დაკრულნი.

რა იყო ამ დუმილის მიზეზი? ბანკის საქმეებში სისუფთავე და წეს-რიგი პირველი საქმეა. ბ. რევიზორი ბრძანებს, თქვენ საქმეებში სამწუხარო აურ-ზაურიაო, ჩვენ კი ეს ქართული აურ-ზაური არ გვიკვირს და ბ. კობიაშვილს არ თანავუგრძნობთ.

დიაღაც თანაგიგრძნობთ, ბ. კობიაშვილო, დაღაც საყვედურის ღირსნი არიან ბანკის ქაღალდებში აურ-ზაურის ავტორები; ჩვენც საყვედურს გამოვუცხადებდით, მხოლოთ თქვენი უცები მოწოდების მოულოდნელმა სიმკაცრემ დაგვაფეთა და დაგვაბნია; დიაღ—დაგვაბნია.. ვინ გინდა ცულ-კლდე ვაჟკაცი მჯდარიყო ჩვენ ადგილზე, ისიც დაიბნეოდა.

აბა, თქვენ თითონ განსაჯეთ, ბ. მკითხველო! ვთქვათ, ვინმე თქვენი გულის მეგობარი გემუსაიფებათ მყუდროთ და დალაგებით. თქვენც უსმენთ წყნარათა და გულ-ტკბილათ მის ენა-წყლიანობას, რბილ სავარძელში გამოჭიმულნი და გულ-ხელ-დაკრეფილნი. ისმის ოთახში საათის მშვიდი და ბეჯითი ტაკა-ტუკი, გარშემო არაფერი იძვრის. გრილი სიოც ვერ ბედავს გალებულ ფანჯარაში შემოსვლას და კრძალვით ეკვრის სახლის კედლებს, არ წავხდე და მეგობართა ტკბილ მუსაიფში არ შემოვსისინდეო. ბაღის მოაჯირზე ჩამოკიდებული ქორფა ვარდები სდუმენ და ფშვინვენ სუნნელებას. მაღალი ალვის ხეები მორჩილათ აყუდებულან თავ-თავიანთ ალაგას და სმენათ არიან გადაქცეულნი... მთელი ბუნება გამსჭვალულა თქვენი პატივისცემით და სათნოთ მოდრეკილია თქვენდამი... ამ დროს, შუა მუსაიფში, თქვენი ტკბილი მეგობარი უეცრათ შემოგბღვერთ: „წამოდექი ზეზე, შე სმენის გუდავ, ვერ ხედავ, ბაღში შენ ვარდებს ძროხა მიდგომია და ბღოღავსო!“

ფიცსა ვდებთ, რომ არ წამოდგებით და თქვენ სავარძელში დარჩებით გაკვირვების ჯაჭვით მიჯაჭულნი.

მე არავისი შეურაცხყოფა არა მსურს. მხოლოთ იმას მოგახსენებთ, რომ ბანკის კრებაზედაც ამგვარმა ფსიხოლოგიამ იჩინა თავი. მყუდროთა და დალაგებით გვემუსაიფებოდა ბ კობიაშვილი, ჩვენც ტკბილათ ვუსმენდით... აქ უეცრათ „წამოდექით ზეზეო“ — შემოგვძახა და მით ჩვენ-ჩვენ სავარძლებს უფრო მჭიდროთა და განუშორებლათ დაგვაკრა.

რა ვქნათ! ბანკი —ევროპიული დაწესებულებაა. საზოგადოებრივი მეცნიერება გვამცნევს, რომ ყოველმა ევროპიულმა დაწესებულებამ, სხვა ქვეყანაში გადარგულმა, ამ თავისი ახალი ნიადაგის პირობათა მიხედვით უნდა იცვალოს ფერიო. მაშ, რათ გიკვირთ, რომ ევროპიულ ბანკებში ევროპიულ—წესიერათ დაწყობილი საქმის წარმოება ჩვენში გადმოქართულებულ-არეულია?

„არხივი არა აქვს ბანკსაო“,—ბრძანებს ბ. რევიზორი. „რას უძახის ბ. რევიზორი არხივს?“—გვკითხავს ფრიად პატივცემული თ. ილია ჭავჭავაძე. თვით სიტყვა მოწმობს, რომ „არხივი“—ბანკის გამონაცვალ გათავებულ საქმეთა დასაწყობი-სალარო უნდა იყოს. „ბატონი ბძანდებითო, ცალკე ოთახი მიუჩინეთ, მისთვის ცალკე კაცი იყოლიეთ და მეც გზა დამილოცნიაო!“ ბ. რევიზორს არც ეს უთქვამს, არც ის. თუ ცოტა აქვს ბანკს გამონაცვალი, მაინც ერთ ადგილას შეინახეთ და ერთ კაცს მოეკითხოსო. წვრილმანი მოვლენაა, მაგრამ მაინც ჩვენ „ქართველობას“ მოწმობს.

არხივის თაობაზე კამათში გაერია ჩვენი ძველი მეგობარი, ბ. შახ-აზიზოვი, სიმპატიური ორატორი გულ-წრფელობითა და სიმართლის მოყვარეობით. მიულოცავთ ბ. შახ-აზიზოვს ბანკის საქმეში დაბრუნებას და... მხიარულ ნახვამდის.

ერთ საყურადღებო საგანს დაუბრუნდა წრევანდელი კრება: მოვალეა თუ არა ბანკის გამგეობა ადგილობრივ შეამოწმოს დამფასებელთა აღწერა-ნამუშევარიო. ეს საგანი წინა წლებში დიდი შფოთისა და თავის-ტეხის სათავე იყო.

ბ. კობიაშვილი მართალ გზას ადგა ამ საგნის შესახებ მსჯელობაში, მაგრამ კრებამ არ უსმინა და ობლათ დატოვა იგი. მთელი ბანკის კეთილი დღეობა დამოკიდებულია მამულების დაფასების სისწორე-სიმართლეზე. ბანკის გამგეობა კი ამ აზრისაა, რომ დამფასებელი კომისია დამოუკიდებელი და არა მისი ხელ-ქვეითი ორგანოა ბანკში. ესეც რომ არ იყოს, სად უნდა ვდიოთ ჩვენ იმათა, სადა გვაქვს იმდენი მოცალეობა, რომ ადგილობრივ დავრწმუნდეთ იმათ ბეჯითობაშიო. ბ. კობიაშვილის აზრით, გამგეობა მოვალეა, თვალ-ყური ადევნოს დამფასებელთა მოქმედებას, მათი ნამოქმედარი „კონტროლ ქვეშ“ გაატაროს. დამფასებელთა კომისია ამხანაგთა ჯგუფიაო და მათ შორის ერთმანეთის კონტროლი შეუძლებელი ფიქციაა. ყოველ დაფასებას კი არ ეჭირვება შემოწმებაო: საჭიროა მხოლოთ გამგეობაში ბასრი კრიტიკის მახვილი ეგულებოდეს ჩამოკიდებულიო.

ეს ფრიად საყურადღებო საგანი ერთობ აჩქარებულათ გადაწყვიტა კრებამ, გამგეობის აზრის თანახმათ.. მიზეზი — ისევ ომ გადახდილთა დაქანცულობა იყო.

მაგრამ „нѣтъ худа, безъ добра“-ო, — ამბობს რუსული ანდაზა. ეს შემთხვევა, რომ არ ყოფილიყო, ჩვენ თავის დღეში ვერ შევიტყობდით, რომ ჩვენი ბანკი თავიდან ფეხამდის მის დამფასებელთა შემოქმედებაა. ახლა კი ბ-ნმა ფურცელაძემ შეგვატყობინა მძლავრისა და „ზევრათ ასული“ ენით, დიახ, ბ-ნმა ა. ფურცელაძემ აუწყა კრებას, ბანკი — ჩვენა ვართო, „კონტროლი“ კი არა „რევერანსი“ გმართებთ ჩვენდამიო“. ე. ი. კრება უნდა წამომდგარიყო და ქალითა ინსტიტუტებში შემოღებული წესით, პირი ბ. ა. ფურცელაძისკენ უნდა ექნა და ლამაზი სალამი უნდა ეძლევნა მისთვის. მაგრამ... ვაგლახ ჩვენ!.. კრება, როგორც იჯდა, ისევ ისე დარჩა თავის ადგილზე მჯდარი და ბ. ფურცელაძეს გაკვირვების თვალით შესცქეროდა.

საკვირველ არიან, უფალო, საქმენი შენნი!..

სხვა საყურადღებო საგნებიც განიხილა კრებამ; რასაც ამ №-შივე მოქცეული ამბები აუწყებს მკითხველთ; მე კი ისევ კრების საზოგადო ხასიათს დავუბრუნდები. როგორც გაუწყეთ, წრევანდელი კრება სრული წინააღმდეგობა იყო წინანდელებისა — სრული რეაქცია და კონტრასტი, მაგრამ მომავალი საქმის წარმატების ნიშნები ამ კრების მყუდრო-მშვიდობიანობაშიაც გამოსჭვივის. დინჯი ოპოზიცია საჭირო და ძვირფასი ჩარხია ყოველ საქმეში: უმისოთ საქმეს რული მოეკიდება. არავინ არ უნდა იფიქროს, ჩვენი ბანკი კეთილ ნიადაგზე დგას, არაფერი უჭირს, ბრწყინვალეთ მიმდინარეობს და ნურაფერს ვერჩითო. გვახსოვდეს სოკრატის ანდერძი: „ქონ-შემოკრებილსა და ტურფა საბერძნეთში მე მკბენარ-ბუზათ მომავლინა განგებამაო: დააფრინდი ხოლმე დრო-გამოშვებითო და მისივე კეთილ-დღეობისაგან გამოწვეული ძილი დაუფრთხეო. მაშ, მხარი მიეცით, ბატონებო, ბ. კობიაშვილს და მასთან ერთათ დააფრინდით ხოლმე ჩვენი ბანკის ამა და იმ სუსტ მხარეს, საქმის სიყვარულით გამსჭვალულნი!

გარეშე მაყურებელი ხალხი მცირეთ ჩანდა კრებაზე აქა-იქ კანტი-კუნტათ ისხდენ ცნობის მოყვარე ქალები, და იმათაც ისეთი ფერი ედვათ სახეზე, თითქოს თავი ებრალებოდათ: ვაი, შენ ჩემო თავო, რამ გაგაბრიყვათ და ამ „სკუჩნაობაში“ შემოგიტყუაო. მაღლა ლოჟები ცარიელობდენ: უკბილო დედაბრის დაღრენილ ყბას ემგზავსებოდენ... უკაცრავათ — იქ აღიმართებოდა ბ. ველიჩკო, ვითარცა ობოლი კბილი სიბრძნისა, ჩვენი დროის ყბა ცარიელობაში უცაბედათ და ჩვენი გულის გასახარათ ამოსული. აქ ნათლათ გამიელვა თავში ბანკის კრებისაგან სრულიად დამოუკიდებელი გამოცანის ახსნამ: რატომ ვერ გაიმარჯვა ქართველობამ ალვირ ახსნილ სომხო-ფობიაში, თუ არ იმიტომ, რომ ამ ძველ სალეჭავს ამ ნაგვიანევი კბილითა, ბ. ველიჩკოთი, ღეჭდა... მართალია, ჩვენ სასიქადულო „ივერიიდანაც“ ამოუყვავდა და დაუხვდა ბ. ველიჩკოს მეგობრული კბილი, მაგრამ ამ მაგარ სალეჭავს ხომ კბილების „კამპანია“ უნდა: ერთი და ორი აქ ვერაფერს გააწყობს...

თეატრის ქანდარა ცარიელი იყო, ვითარცა ფურცელნი „ცნობის ფურცლისანი“, თითქო მის კარებთანაც ქანდრის რედაქტორი იჯდა და დარაჯობდა, არ გაბედოს და პაწია უმნიშვნელო ფიქრმაც არ ამოჰყოს აქ უცაბედათ თავიო.

ბანკის მებუფეტის, ბ. სხირტლაძის, თვალებში ძველი ნამყო ნეტარების ლანდი კრთოდა იმ დროისა, როცა

დევ-გმირთ ხანგრძლივმა ბრძოლამ
დიდი სურსათი შთასვა და შთანთქა,

როცა ვამოულეველ სურსათ-ფურაჟს ავდიდა ბ. სხირტლაძე გაშმაგებულ მებრძოლითა და... განქრენ ჟამნი ოქროს ფულისანი და დარჩა მწუხარეთ ბნელი, შავი შაურიანის მზგავსი, დღევანდელი დღე.

არავინ.

## სხვა-და-სხვა ამბავი.

მაისის 29-ს ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრე თეოდორეს ასული კეთილათ განთავისუფლდა მშობიერობისაგან და ეყოლა ასული, რომელსაც უწოდეს დიდი მთავრინა ტატიანა ნიკოლოზის ასული, ხარისხ-წოდებით მისი უმაღლესობა.

* *

მაისის 30-ს მოხდა სათავად-აზნაურო სხდომა, რომელზედაც ცხადათ გამოირკვა ორი მოწინაღმდეგე პარტიის ერთმანეთში გამწვავება. ერთია მომხრე თფილისი თავად-აზნაურობის წინამძღოლის თ. კ. მუხრანბატონისა, მეორეს თაოსნობს თ. ი. ჭავჭავაძე, რომელსაც არ მოწონს თ. კ. მუხრანბატონის მოქმედება და ცდილობს მის გამოცვლას.

ამ ორ პარტიას მოუხდა შეტაკება არწრუნისსეული თავად აზნაურობის ქარვასლის ანგარიშების შესახებ. თ. ი. გ. ჭავჭავაძე გაფიცხდა, როცა ირჩევდენ ანგარიშის შემმოწმებელ კომისიის წევრთა. თავმჯდომარემ მოაგონა მას რიგიანათ მოქცეულიყო და მისი სიფიცხე პროტოკოლში აღნიშნა. თავად-აზნაურობამ დავა გამოუცხადა ბანკის გამგეობას 19,000 მანეთზე. ბანკის გამგებელმა უარი თქვა გადახდაზე და უპასუხა სამართლით იძიეთო. ამ საგანზე განაგრძეს ბაასი და ბოლოს ასე დააბოლოვეს: მიენდოს ქარვასლის მმართველ კომისიას და ბანკის გამგეობას მორიგდენ ერთანეთში, საერთოთ გადაწყვიტონ ეს საქმე და წარუნდგინონ თავისი გადაწყვეტილება მომავალ სათავად-აზნაურო კრებას.

ამას შემდეგ აღიძრა კითხვა თ. ზ. გ. ერისთავის მიერ შეწირულ ოძისის მამულზე, მაგრამ საქმე არ დაბოლოვებულა და გადაიდვა მისი გადაწყვეტა 31 მაისისათვის.

* *

„Нов. Обоз."-ის სიტყვით მთავარმართებელმა გალიცინმა შეწირა ასი მანეთი კავკასიის სტუდენტების სასარგებლოთ, რომელნიც სწავლობენ ხარკოვის უნივერსიტეტში.

* *

მაისის ოც-და-ცხრას საღამოს მეცხრე საათზე დაჰკრა თფილისში საშინელმა ელვა-გრგვინვამ. წამოვიდა სეტყვა და შემდეგ დაასხა კოკური წვიმა. ავჭალისა და მთაწმინდის ქუჩებზე წარმოსკდენ დიდი ხევები, რომელთაც მრავალი ზარალი ჰქნეს და კაცები იმსხვერპლეს.

ნავთლუღის რკინის გზის სადგურის მახლობლათ ხევმა მოიტაცა სათიბებიდან მონავალი ფურგონი სამი ცხენით. ფურგონში მსხდარან ცხრამეტი სალდათი დრაგუნის პოლკისა. ეს ფურგონი ცხენებიან-კაცებიანა ხევმა ჩაიტანა მიწის არხში და გაიტანა მტკვარში. დამხრჩვალთაგანი აქამდის მხოლოთ ერთი კაცი გაუგდია მტკვარს კიდეზე თფილისიდან ქვემოთ რვა ვერსის სიშორეზე.

* *

ამ თვის 20-ს ქუთაისში მოხდა შავიქვის მწარმოებელთა რჩევის შესანიშნავი კრება. ამ კრებაზე იყო განხილული სამინისტროდან მოსული ცნობები შესახებ შავიქვის წარმოებისა სხვა უცხო ქვეყნებში, რომლებიდანაც მიაქვთ მსოფლიო ბაზარზე შავიქვა გასაყიდათ და ქიშპობას უწევენ ჩვენ ჭიათურის შავქვას. მხოლოთ ამ ცნობებში საკმაო ყურადღება არ ყოფილა მიქცეული ინდოეთის შავიქვის წარმოებაზე, რომელმაც განსაკუთრებით დასცა ფასები ამ უკანასკნელ ჟამს ჭიათურის შავიქვისა. ბევრი საყურადღებო საგნები განიხილა შავიქვის მწარმოებელთა კრების რჩევამ, რომელთ შორის ჭიათურის რკინის გზის გადასატანის ფასის დაწევას. ესე იგი მეტათ მაღალი ტარიფის შემცირებას, პირველი ალაგი უჭირავს. რაკი მართლაც ჩვენ შავ ქვას მოქიშპე მადნები გამოუჩნდა სხვა ქვეყნებში, უსაცილოთ ჭიათურის რკინის გზაზე გადასატანი ფასები უნდა დასწიონ; უამისოთ ჭიათურის შავიქვის წარმოება მიუცილებლათ სულ ჩავარდება და გაოხრდება. როგორც ჩანს თვით სამინისტროსაც მიუქცევია ყურადღება ტარიფის შემცირებაზე და ეს საქმე გადაუცია სატარიფო კომიტეტში განსახილველათ.

კავკასიის შავიქვის მწარმოებელთა რჩევას გადაუწყვეტია ორი დიდი საქმე, რომელიც თუ სამინისტრომ დამტკიცა, მიუცილებლათ ისევ აღადგენს კავკასიის შავიქვის წარმოებას. ერთია ის, რომ ჭიათურის ტოტზე გადასატანი ფასი ფუთზე სამკაპეიკს არ უნდა აცილდეს და მეორე ის, რომ არც ერთს ცალკე მწარმოებელს არ მიეცეს უფლება ამ დაკლებული ფასით გადიტანოს თავისი შავიქვა ჭიათურის რკინის გზაზე, თუ იგი არ დაემორჩილა კავკასიის შავიქვის მწარმოებელთა სინდიკატის განკარგულებას.

ამგვარ გადაწყვეტილებათა გასატარებლათ სამინისტროში, რჩევამ დაადგინა დეპუტაციის გაგზავნა პეტერბურგს.

ბოლოს მომავალი შავიქვის მწარმოებელთა სინდიკატის წესდების შესადგენათ რჩევამ ამოირჩია შემდეგი პირები: დ. ნ. ბაქრაძე, გ. ჩუბინიძე, თ. პ. გ. წულუკიძე, ზ. ოლანეზოვი, ლ. ავგერინო, თ. ს.

გ. წერეთელი, სოლ. წერეთელი, პ. მოსეშვილი, გ. კაკაბაძე, ს. გაჩეჩილაძე, ბ. მოსეშვილი, გ. ზდანოვიჩი, დარჩია, ონოპულო, პანასე, თ. ფ. რ. წერეთელი, დ. ლეონიძე და პ. ზარონილი.

***

წრევანდელი თფილისის თავად-აზნაურობის ბანკის კრებაზე იყო განხილული ბანკის კრებათა ცვლილების პროექტი, შედგენილი თვით ბანკის კამიტეტისა და გამგეობისაგან. კრებამ გადაწყვიტა ამ პროექტის გაგზავნა სამინისტროში დასამტკიცებლათ. შემდეგ განხილულ იქმნა რევიზორის შენიშვნები. ბევრი ამ შენიშვნებთაგანი უარ ჰყო და დანარჩენები კი მიიღო. ჩვენ ძალიან გვაკვირვებს მხოლოთ კრების კადნიერება, რომელმაც უარი განაცხადა: გამგეობა ნუ მიცემს ხელში მამულის მოგირავეს გირავნობის ფურცლებსო. როგორ? თუ კი მოგირავეს სურს თავისი საქონელი, ესე იგი ნასესხი ფული გირაოს ფურცლებით მიიღოს, განა გამგეობას, ან კრებას უფლება აქვს დაუჭიროს? არ ვგონებთ, მით უფრო, რომ გამგეობის მიერ გირავნობის ფურცლებით ბირჟაზე ვაჭრობა კეთილშობილურ წადილს მოკლებულია და ჩვენც ვიცით რამდენიმე შემთხვევა, რომ გამგეობას მსესხებლისთვის ურიგო გაყიდვით ზარალი მიუცია ხოლმე.

***

ჩვენი ცნობილი მოღვაწე თ. ივ. მაჩაბელი ეს თითქმის ერთი თვეა მძიმეთ ავათ არის. ვისურვებთ მის კეთილათ მორჩენას.

***

პეტროვსკიდან ბაქომდე რკინის გზის გაყვანა მთავრობას კიდეც დაუმტკიცებია. ეს გზა კასპიის ზღვის პირათ გაეკვრება რუსეთიდან და უფრო მჭიდროთ შეაერთებს რუსეთს ამიერ კავკასიასთან. იგი უნდა გააკეთონ ორი წლის განმავლობაში და აქვს მინდობილი სკერბიცს, ვლადიკავკაზ-როსტოვის რკინის გზის გამკეთებელს.

***

ამ თვის 27-ს მოხდა თფილისის სათავად-აზნაურო ბანკში არჩევნები. ამორჩეულ იქმნენ ბანკის გამგებლათ თ. ილ. ჭავჭავაძე. ძველი ზედამხედველი კომიტეტის წევრებიდან ახალ ამორჩევაზე უარი თქვეს თ. დ. გურამიშვილმა, თ. ვ. თუმანიშვილმა და კობიაშვილმა.

კამიტეტის წევრებათ ამორჩეულ იქმნენ: უგანათლებულესი თ. პ. გრუზინსკი, თ. ნ. ანდრონიკაშვილი, თ. ლ. ჯანდიერი, პ. ყიფიანი, გ. ქურული, თ. რ. ერისთავი, თ. ალ. ჩოლოყაშვილი, თ. ალ. ლიონიძე, თ. ვ. მაყაშვილი, თ. ს. ვახვახიშვილი.

დამფასებელათ ამორჩეულ იქმნა კ. ფურცელაძე.

გამგეობის წევრთა კანდიდატებათ თ. ა. ვახვახიშვილი და თ. დ. ჩოლოყაშვილი.

***

სიამოვნებით მივეგებებით ერმალოზ გოგოლეისუბნელის მოწოდებას ბათუმიდან სავაჭრო ამხანაგობის დასაარსებლათ, რომელსაც ჰსურს ხორაგეულობით და საკვებით ვაჭრობა გამართოს ბათუმში. მართლაც ბათუმის მეეტლეებს და მედროგეებს დიდძალი ქერი და თივა ჭირდებათ, თვით ამავე ხალხმა უნდა შეადგინოს ამხანაგობა და საწევრო ფულის შეტანით საკმაო თანხა გააკეთოს. ძალიან იაფათ დაუჯდებათ საკვები და დიდ მოგებასაც ნახვენ. სავაჭრო თავნი პირველში დიდი არ მოუნდება. ვურჩევთ ბათუმის მეეტლეებს და მედროგეებს საჩქაროთ მოკიდონ ხელი ასეთი ამხანაგობის გამართვას. ისინი კარგს იზმენ, რომ გორის მწარმოებელთა ამხანაგობასთან საქმეს დაიჭერდენ. იმათგან რომ ზიდონ თივა, ბზე, ქერი, სიმინდი და ხორბალი, ძალიან ხელს მისცემთ.

***

ქუთაისში დღეს დიდი ბრძოლაა ატეხილი რიონის მარჯვენა და მარცხენა მხარეთა მცხოვრებლებ შორის სასამართლო დაწესებულებათა დარბაზის აშენებისთვის. რიონის მარჯვენა მხრის მცხოვრებლებს ჰსურთ თავისკენ მოუპოვონ შესაფერი ალაგი, მარცხენა მხრელები კი თავისკენ იწევენ, რადგან ძველი სავაჭრო ბაზარი მარცხენა მხარეზე დგას და აქეთკენ უფრო შეძლებული ვაჭრობა, ნაფიცი ვექილები და ფულით ჩასუქებული სახელმწიფო მოხელეები ცხოვრებენ, ამისთვის ქალაქის საბჭომაც მარცხენა მხარეს მიკერძა, თუმცა ქუთაისის სამხედრო ღუბერნატორი წინაალმდეგია ასეთი ცილობისა.

მიუდგომლათ რომ ვილაპარაკოთ, ქუთაისის შუაგული წერტილი თვით მდინარე რიონია, რომელიც ჰყრის ქალაქ ქუთაისს ორ თანასწორ ნაწილათ. აქედან რომ მარჯვენით და მარცხნით მეოთხედმეოთხედი ვერსის მანძილი ავიღოთ ქუთაისის ქალაქისგანათ, მაშინ ქუთაისის შუაგული ალაგი რიონის მარჯვნივ მხარეზედაც იქნება და მარცხნივ მხარეზედაც. მხოლოთ ეს კია, რომ გაშლილობით და ჰაერის სიკეთით მარჯვენა მხარე ქუთაისისა ბევრათ

ჯობრა მარცხენა მხარეს. ამას გარდა სასამართლო დარბაზის ხალვათათ მოსათავსებელი ადგილები მარჯვენა მხარეზე უფრო იპოება. თვით ქალაქის მცხოვრებთა სარგებლობის გულისთვისაც უკეთესი იქნება, რომ სასამართლო დარბაზი მარჯვენა მხარეზე ააგონ; მაშინ ქალაქი უფრო ბუნებრივათ გაიშლება სავაჭროთ და მცხოვრებლები ერთ ვიწრო ტაფაში არ იქნებიან მომწყვდეული.

***

წრევანდელი წელიწადი ბევრგან კარგ მოსავალს გვიქადის და ბევრგან, ვგონებ, შიმშილობაც გაჩნდება. ზღვის პირის მდებარე ალაგებში, მაგალითათ, სამეგრელო-გურიაში თურმე დიდი გვალვებია, მაშინ როდესაც ზემო-იმერეთში და ქართლ-კახეთში წვიმები ხშირათ მოდის და ჯეჯილ-სიმიდსაც კარგი პირი უჩანს. ვენახებს განსაკუთრებით კარგი ამიდები დაუდგა შორაპნის მაზრაში; მაგრამ მაგიერათ აქ ნიაღვრები ხშირათ არის და ჭირნახულს ახდენს. დიდი სეტყვა ყოფილა წინსოფელს, ჭილოვანს, რგანს და ღვიმევში. სეტყვამ ზემო-ქართლშიაც დაჰკრა და, სადაც კი ვენახები იყო, ყოველგან გააფუჭა.

საკვირველი ამბავია თფილისში. ეს ერთი თვეა დილიდან-საღამომდის საშინელი პაპანაქება სიცხეები დგას; საღამოობით ცა ღრუბლებით მოიბურება, გამოუშვებს ელვა-გრგვინვას, შემდეგ დაასხამს მსხვილ წვიმას და ზოგიერთ ქალაქის ნაწილები ნიაღვრებით წაილეკება ხოლმე.

***

ამ თვის ოც-და-რვას თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა სათავად-აზნაურო კრების გახსნის წინათ დააფიცეს სიონის ტაძარში, ხოლო სომხის თავად აზნაურობა ვანქის ტაძარში და კათოლიკის სარწმუნოებისაში კათოლიკების ეკლესიაში.

მაისის ოც-და-ცხრას კლუბის დარბაზში მოხდა პირველი სხდომა. წაკითხულ იქმნა უმაღლესი რესკრიპტი, რომლის ძალითაც დანიშნულ იქმნა კამისია სტატსკი სეკრეტრის დურნოვოს თავმჯდომარეობით, რომ მოიხმარონ საუკეთესო ღონიძიება თავად-აზნაურობის ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლათ. კრებამ „ურა“ შეჰძახა.

ამას შემდეგ მოისმინეს მოხსენება თავად-აზნაურთა შვილების ვაკანსიების გასამრავლებლათ სახელმწიფო სასწავლებლებში. დიდი მთავრის მიხაილ ნიკოლოზის ძის მთავარ-მართებლათ ყოფნის დროს ბევრი თავად-აზნაურთა შვილები იგზავნებოდა რუსეთის სახელმწიფო სასწავლებლებში სახელმწიფო ხარჯით. შემდეგ, როცა თფილისში კადეტის კორპუსი გაიხსნა, ჰავის სისასტიკის გამო ყველა ეს თავად-აზნაურთა შვილები თფილისის კადეტის კორპუსში უნდა მოთავსებულიყვნენ. მაგრამ სხვა-და-სხვა გამოურკვეველი მიზეზების გამო აქ ქართველ თავად-აზნაურთა შვილებს აღარ იღებენ და მრავალი თავად-აზნაურობის ახალგაზდობა რჩება უსწავლელათ. აი, ამისგამო თავად-აზნაურობამ აღძრა თხოვნის მიცემა უმაღლეს მთავრობასთან, რომ განაახლონ იმდენივე სტიპენდიები ქართველ თავად-აზნაურობისთვის, რამდენიც ნაბოძები ჰქონდა იმპერატორ ნიკოლოზ პირველს. დაადგინეს ითხოვონ ათი ახალი სტიპენდია თფილისის კადეტის კორპუსში, აგრეთვე ათ-ათი სტიპენდია სამს თფილისის გიმნაზიაში და ოცი სტიპენდია მომავალ სამეურნეო სასწავლებელში სოფლის აზნაურთა შვილებისათვის.

ამას შემდეგ თავად-აზნაურობამ დაადგინა, მადლობა მოხსენდეს დიდ მთავარს მიხაილ ნიკოლოზის ძეს და ფინანსის მინისტრს ვიტტეს, რომელიც თანაგრძნობით შეხვდა თავად-აზნაურთა შვილების აღზრდის საქმეს.

***

ამ დღეებში გარდაიცვალა წყალმანკისაგან ქუთაისში ყოფილი სახაზინო მიწების გამგებელი: ანდრია სიმონის ძე გამრეკელიშვილი.

***

ამ დღეებში გარდაიცვალა უეცრათ თ. გ. ი. ციციშვილი, მომრიგებელი შუამავალი გორის მაზრისა. ამბობენ ცხონებული ძალიან მფარველობდაო გლეხკაცობას.

***

ჩვენ მოგვივიდა წლიური ანგარიში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობისა, რომლის წლიური კრება არის დანიშნული დღეს საღამოს. ანგარიშს გავარჩევთ შემდეგ.

***

განსვენებული ქართული დრამების მწერლის ლაზარიშვილის ძმა თხოვს ყველას, ვისაც განსვენებულის შემდეგი პიესები აქვს: ,,მტარვალი'', (ოთხ მოქმ. ტრაღედია), ,,მამა'' (4 მოქმ. დრამა), ,,ლანდი'' ნათარგმნი, და „სცენა სამიკიტნოში“, კეთილ ინებოს და წარმოადგინოს ,,კვალის'' რედაქციაში, რათა განსვენებულის ძმამ იკისროს ამ პიესების გამოცემა.

***

ჩვენ მოგვივიდა შემდეგი ქართული წიგნები: ფიზიკა: 1) ჭკარა და მისი თვისებანი ალ. მირიანაშვილისა, გამოცემა ზაქარია ჭიჭინაძისა, —ღირს სამ შაურათ; 2) ლოღიკა ქართულ ენაზე შედგენილი გ. იოსელიანის მიერ და გამოცემული ზ. ჭიჭინაძის მიერ, — ღირს სამ შაურათ; 3) ცხოვრება წმინდა იოანე მოწყალისა, —ღირს ხუთ კაპეიკათ. ამ წიგნებზე შემდეგ მოგილაპარაკებთ.

## ჯამი პოლიტიკური მდგომარეობისა ოსმალეთში.

ამ თითქმის უმნიშვნელო გამარჯვებამ ოსმალეთის ჯარისამ მიიქცია მთელი ქვეყნის ყურადღება. დღეს, როგორც მოსალოდნელიც იყო, ყველა გააცვიფრა სულტან-ჰამიდის ჭკუამ და მოხერხებამ. ვინ იფიქრებდა, თუ ოსმალეთის გათახსირებული ხაზინა შეიძლებდა ნახევარი მილიონი ჯარი ფეხზე დაეყენებია, ჩაეცვა, დაეხურა, ერჩინა და ჯამაგირი ეძლია. ვინ, რომელი სამეფო არ იყო დარწმუნებული ოსმალეთის სილატაკეზე; ვის არ ეგონა, რომ თათარს არა თუ ბერძენი, თვით პაწაწინა შავ-მთიელნიც მოერეოდა. დიახ, ყველანი დიდი დიპლომატებიდან დაწყებული სულ უბრალო მუშაპროლეტარიატამდის ამ უსუსური აზრისანი იყვენ, როგორც ამას გვითვალისწინებს ევროპაში დასტამბული ჟურნალ-გაზეთები, მხოლოთ ახლა კი, სამწუხაროთ ის დაგვრჩა ვთქვათ, რომ თათრებს გული შიგნით ჰქონიათ. თათრები ჯერ კიდევ არ ყოფილან ისე სუსტი, რომ ერთ რომელსამე მათ ტოლ სამეფოს ვერ გაუძლონ.

ჯერ კიდევ ომი არც კი დაწყებულიყო, როცა ჩვენ გამოვთქვით, ჩვენი შეხედულობისა-და გვარ, ჩვენი აზრი, რომ „რაც უნდა იყოს, თუ ბერძნებს მომხმარე და შემწე არა ჰყავთ, ვერას გახდებიან-თქო“. ასეც მოხდა.

ბერძნებმა ევროპის გეგმაზე მოაწყვეს თავიანთი საომარი გზა-კვალი, იმათ მოინდომეს ისეთი გამარჯვება დაერჩინათ, რომელიც ყოველი მხრით ტაკტიკური ყოფილიყო. აი, ამით აიხსნება მემკვიდრე კონსტანტინეს საქციელი ლარისის მოედანში; მას რომ ჰუმანიურათ არ შეეხედა ომისათვის, ადვილათ შეეძლო ან დაეჭირა ეთემ-ფაშა და ან მოეკლა იგი, პირველი თუ ძნელი იყო, მეორეს კი ძალიან ადვილათ შეძლებდა. ეთემ-ფაშა თორმეტი ათასი კაცით რამოდენიმე საათი შემოსალტული ყავda. ეგრეთვე ყოველგან თათრის საზღვრები დაჭერილი ჰქონდათ ბერძნებს. მარტო პირველ შეტაკებაში ბერძნებმა ოცი ათასზე მეტი კაცი დაუხოცეს თათრებს და რომ ღაზი ოსმან-ფაშა არ მისულიყო იმ ადგილას და ჯარი მისი მისვლით არ გამხნევებულიყო, ვინ იცის, რამდენი ჯარი დაუწყდებოდა ეთემს და ეგებ თვითონაც გამხდარიყო ამ პაწაწინა ელადის მსხვერპლი.

აქ ერთია ყველაზე საყურადღებო საქმე; ეს ის, რომ ან რისთვის მიუშვა ევროპამ ბერძენი საჩხუბრათა და ან რატომ არ დაანება ზღვაზედაც ეომნა. ვითომ ევროპას არ უნდა უბრალო სისხლი დაეღვაროსო და თან ყველგან, საცა ბერძნებს შეეძლო გემები მიედევნებია, ევროპიელები ბევრნი ცხოვრებენო და ზიანს ნახვენო. ეს რაღა არი? თუ ევროპას არ სურდა ბერძნებს ომი გამოეცხადებია, ვითომ არ შეეძლო თავისი სურვილი სისრულეში მოეყვანა? — დაუჯერებელია. მაშ რა იყო ის მიტინგები და სხვა-და-სხვანაირი აგიტაციები, რომლებიც ხდებოდა იტალიაში, ფრანციაში, ინგლისში და სხვ. რისთვის-ღა შეაგულიანეს საწყალი ბერძნის ხალხი. სად არის გარიბალდისტები, ინგლისის ლიბერალური გრძნობა და მთელი ქვეყნის სიმპატია ბერძნებისადმი? დიაღ, ასეა ყოველთვის, როცა ერთი გვარი ან ხალხი სხვის იმედით მოჰკიდებს საქმეს ხელს. ბერძნები, ვინ არ იცის, რომ ყოჩაღი და მშრომელი ხალხია, მხოლოთ მასთან წრეს-გადასული და თავ-მოყვარე—ტრაბახი. ცხადია, რომ ისინი მედგრათ შეებრძოლენ აუარებელ ოსმალოს ჯარს და ბევრიც დაწყვიტეს, მაგრამ ეს დამარცხება მათ მაინც არ ეპატიება, რადგან ბერძნებს კარგათ უნდა ჰქონოდათ შეგნებული თავიამთი და ოსმალეთის ძალ-ღონე, იმათ უნდა დაეჯერებია ევროპის რჩევისთვის და ილიუზიას არ უნდა გამოდგომოდენ. ევროპამ და მეტადრე კი რუსეთმა თავიანთი ბერძნებისადმი ჰუმანიური მოქმედებით გააგულადეს იგინი იმდენათ, რომ მათ (ბერძნებს) ეჭვიც არ ჰქონდათ გამარჯვებისა. იმათ ეგონათ სულ ცოტა ღონეც იკმარებდა, რომ ისევ ჩაერიოს ევროპა მათ საქმეში და, როგორც 1885-ში რამოდენიმე თოფის გასროლით მოიგდეს ხელში მთელი თესალია, ისე ახლაც ჩაიგდებდენ ხელში მაკედონიის ერთ ნაწილს.

ბერძნებს, სხვათა შორის, დიდი იმედი ჰქონდათ ბალკანეთის პატარ-პატარა სამეფოებისა. ის დარწმუნებული იყო, რომ მაკედონიაში არეულობა მოხდებოდა და ეს გარემოება შეასუსტებდა ოსმალეთის, მათის აზრით, ისეც გათახსირებულს ჯარს. ვერც ერთი იმედი ვერ გაუმართლდათ ბერძნებს, რადგან ბოლგარიამ ამ შემთხვევით თავისი დიდი ანის წადილი:

კონსოლების დაწესება მაკედონიაში და საეპისკოპოსო ბარათების გამოტანა მოახერხეს სულტანისაგან და ეს ხომ დიდი საქმეა ბოლგარიისთვის.

ასე იყო თუ ისე, ჯერ კიდევ არ მორჩენილა აღმოსავლეთის კითხვა და, რომ კიდეც შერიგება მოხდეს ბერძენ-ოსმალთა შორის, მაინც საქმე არ დაშოშმინდება. სულტან-ჰამიდი ახლა სულ სხვა ჰანგზე აწყობს თავის საკვირველ სიმებს. ის ახლა არ თანხმდება კრიტის ავტონომიაზე ბერძენთა სასარგებლოთ, მიზეზობს, რომ იქაურნი ოსმალონი არ დათანხმდებიან და ისევ ბრძოლა და შუღლი ჩამოვარდება, მას სურს კრიტი ისევ ძველებურათ დარჩეს და თუ ეს არ შეიძლება, მაშინ იგი დაეთმოს, რომელსამე დიდს ევროპის სამეფოს, იმ პირობით, რომ ამას შემდეგ ოსმალეთმა მოისვენოს რამდენიმე წელი მაინც. გარდა ამისა სულტანი, როგორც ამბობენ, აქ შეამოკლებს ბერძნების უპირატესობას, როგორც ეკონომიურათ, ისე რელიგიურათაც.

„ღმერთმა ერთი ვით აცხონოს, თუ მეორე არ წაწყმინდოს“-ო—თქვა ჩვენმა უკვდავმა შოთა რუსთაველმა და ეს სწორეთ ასეა. ბერძნების დამარცხება ძლიერ გამოადგათ ბალკანეთის სლავიანებს: ბოლგარიას სერბიას და მაკედონიაში მცხოვრებ სლავიანებს მიენიჭებათ თავიანთ გვარისა და ენაზე მომქმედი ეპისკოპოსები და ამ ადგილებში სამუდამოთ მოისპობა ბერძნის სასულიერო წოდებათა გავლენა.

იასე რაჭველი.

* * *

ქართველ ქალის სილამაზემ
გამაგიჟა, გამახარა,
გულს იმედი ჩამისახა
და სევდები გადამყარა!..

—

სიკოხტავე-სიცქრიალემ
მე ის ტურფა შემაყვარა...
მისმა ეშხმა-ელვარებამ
დამაბრმავა, ამაჩქარა!..

—

ამავ ქალის უგულობამ
სიხარული წამაწყმარა,
გულს სევდები დაუბრუნა
და სულს ტანჯვა დაუმატა...

—

ქართველ ქალის უსაქმობამ
სიცოცხლეც კი შემზარა,
დამაფიქრა მის აწმყოზე
და წარსული დამატარა!..

—

აწმყო მისი დამესახა,
როგორც ფუჭი და არარა,
მომავალზე ნურას მკითხავთ,
ენა მებმის... კმარა... კმარა!..

ფანდი.



## თეთრი ბუ.

ყველა ბუებში, და თითქმის ყველა ფრინველებშიაც, სილამაზით პირველი ადგილი თეთრ ბუს უჭირავს (Nyctea nivea). სიდიდით ქორის ოდენაა. მთელი ტანი თეთრი ფრთებით და ბუმბულით აქვს შემოსილი, მხოლოთ აქა იქ მიხაკისფერი წერტილებით და ხალებით არის აჭრელებული. მის თოვლსავით თეთრ პტყელ სახეს საოცრათ ამშვენებს შავი ნისკარტი და ლიმონივით ყვითელი თვალები. ის სხვა ჯიშის ბუებზე უფრო სწრაფათ და მოუღალავათ დაფრინავს. თეთრი ბუ ჩრდილოეთის ცივ-ქვეყნებში ცხოვრებს. როცა ძალიან ცივი ზამთარი დადგება ხოლმე, მაშინ კი სამხრეთისკენ გაემგზავრება და გაზაფხულამდის იქ რჩება. ბუდეს იკეთებს მიწის ორმოში, რომელსაც გამოფენს თავისი ბუმბლით და ჩადებს შიგ 5—10 კვერცხს მაისის დამდეგიდან ივნისამდის. ხშირათ შეიძლება ერთ და იმავე ბუდეში გამოჩეკილი ბარტყები და ახალი დადებული კვერცხები ნახოთ. ზოგი მეცნიერი ამბობს, ის ხმას არ იღებსო, მეორენი ამტკიცებენ ძაღლსავით ჰყეფსო, მესამენი—ღორსავით ხრუტუნობსო და მეოთხენი—ქათამსავით კაკანებსო.

სანადიროთ თეთრი ბუ დღითი გამოდის და ამით ძალიან ირჩევა სხვა ბუებში; ნადირობს კურდღლებზე, გარეულ ქათმებზე, ვირთხებზე და თაგვებზე, აგრეთვე ძალიან უყვარს თევზი და საოცარი მოხერხებით იჭერს მას წყალში; საზოგადოთ, „წყალიც ძა-




თეთრი ბუ.

ლიან უყვარს და ხშირათ სიამოვნებით ბანაობს ხოლმე.

ჩრდილოეთის ხალხს ძალიან მოწონს თეთრი ბუს ხორცი და სიამოვნებით შეექცევიან მას; მხოლოთ ზოგიერთი განუვითარებელი ხალხი თვლის ამ ბუს მოჩვენებათ და ერიდება.

## „კვალის“ კორესპონდენციები.

ქალ. ვარშავა. ვარშავის პირველ დანახვაზე თვალწინ წარმომიდგა უცხო სურათი. რუსეთის დიდი ქალაქებისაგან ისე განსხვავდება იგი, რომ მე ასე მეგონა, სადღაც საზღვარ გარეთ, რომელსამე უცხო ევროპიელ ქალაქში გავჩნდი მეთქი. ჩემი ყურადღება მიიპყრო ქალაქის სამაგალითო სისუფთავემ, რომელსაც ბევრი სხვა ქალაქები დაჰნატრიან ვარშავას. საითაც მიიხედავთ, მთელი ქალაქის ქუჩა-ეზოები და სახლები ისეა დაწმენდილ-დასუფთავებული, რომ დაკარგულ ნემსსაც კი ადვილათ იპოვით ქუჩაში. ყოველ სახლის წინ დილიდან საღამომდის, სულ მუდამ, დგანან მუშები ცოცხებით და ნიჩბებით და წმენდენ იქაურობას; თვით გამვლელ-გამომვლელისაგან გადაყრილ პაპიროზის და სპიჩკის ნამწვევზსაც კი ჰკრეფავენ ქუჩებში, თუ კი დაინახეს სადმე. გარდა ქუჩების და ეზოებისა, ყოველ სახლის კედლებსაც ჰრეცხავენ და წმენდენ ყოველ დღე. ქუჩებში ვერსად ვერ შეხვდებით უბრალოთ მაწანწალა და მოხეტიალე ლოთს ანუ მათხოვარს. თითქმის ყველა სახლების და დუქნების კარებებზე აწერია, „მათხოვარობა აკრძალულიაო“: ყველა უბინადრო მათხოვართათვის თავშესაფარი და სასადილოებია გამართული.

პოლონელი ხალხი, როგორც ეტყობა, მეტათ ზდილობიანი ყოფილა, მარტო მაღალი საზოგადოება კი არა, არამედ თვით აქაური მუშა ხალხიც კი. ქუჩებში თუ ვინმემ უნებურათ ფეხი წამოგკრათ, უსათუოთ დიდის ზდილობით, რამდენჯერმე, ბოდიშს მოიხდის; სხვა ქალაქებში კი ბევრჯელ ერთი-ერთმანეთს ისე დაეჯახებიან ხოლმე, რომ თავბრუს დაასხამენ და ისე გაივლიან, თითქოს არაფერიაო.

არც ერთ რუსეთის ქალაქში ვერ ჰნახავთ ისე კოხტათ, სუფთათ და მოხდენით მორთულ, სხვა-დასხვა ახალ მოდაზე ჩაცმულ-დახურულ ხალხს, როგორც აქ. საზოგადოთ ყოველი პოლონელი ქალი ხელსაქმის დიდი მოყვარული ყოფილა: სამაგალითოთ მისდევენ ათას გვარ ხელ საქმეს და ჰრაკერვას: ერთ ქალს ვერ ჰნახავთ, რომ რაიმე ხელსაქმე არ იცოდეს. ქალების ჩასაცმელ-დასახური ისე იაფათ იყიდება აქ, რომ, არა თუ შეძლებულთ, საწყლებსაც კი ადვილათ შეუძლიათ მორთულნი იარონ. საუკეთესო კაბის შეკერვის ხელფასს სამ მანეთს იღებენ აქ ნაქები მკერვალები, სხვა ქალაქებში კი თითო თუმნათაც არა ჰკერავენ უბრალო კაბებს.

მეტათ საინტერესოა აქაური „შეუძლებელ ხალხის დამხმარებელ საზოგადოების“ მიერ გამოგონილი ერთი ზომა. ამ საზოგადოებას, გარდა სხვა-დასხვა კერძო შემოწირულობისა, უმთავრეს შემოსავლის წყაროთ შემდეგი აქვს. ჰყავს დაქირავებული რამდენიმე კაცი: ისინი დადიან მთელ ქალაქში და აგროვებენ ყოველგვარ გამოუსადეგარ და გადასაყრელ საქონელს, მაგალითათ ძველი წიგნებისა და ქაღალდების ნახევებს, ყოველ გვარ ძონძებს და მჩვრებს, შუშების ნამტვრევებს, რკინას, ტყვიას, თუჯს და სხვ... ყველა ამას ჰყიდიან აქაურ ქარხნებში, მაგ. სხვა-და-სხვა ქაღალდების ნაფლეთებს ფუთს 50 კაპ., წიგნების ნახევებს 80 კაპ. და სხვა. აქ ყოველ გროშს ძვირათ აფასებენ.

აქაური მეეტლები დიდ ვაჟბატონებსა ჰგვანან მოკაზმულობით: ცხენები სულ ინგლისურ მოდაზე მორთულ-მოკაზმულები ჰყავთ. არსად იმდენი ხალხი არ დადის ველოსიპედებით რამდენიც აქ; ველოსიპედებით დადიან ექიმები ავათმყოფებთან, ვექილები სასამართლოებში, წერილების და დეპეშების დამტარებლები და სხვ. და სხვ... ზოგს ველოსიპედებისთვის უკან დიდრონი ყუთებიც კი დაუკრავთ და საქონელი, ბარგი-ბარხანა თან დააქვთ, ამ ბოლო დროს, ორთქლ-მავალი ეტლებიც გააჩინეს ბევრმა და ისინიც დაჰქრიან. ყველა ამაებს ცხენიანი მეეტლები ყურებ-ჩამოყრილები შეჰყურებენ.

ერთმა აქაურმა პოლონელმა აი რა მითხრა, საზოგადოთ ქ. ვარშავის შესახებ:—რაც ვარშავაში საუკეთესო შენობებს უყურებთ, ან საალებ-მიცემო ადგილებს, სულ ურიებისააო. მართლაც შაფათობით აქაურ დუქნებ-ბაზრებში ვერავერს იშოვით სასყიდელს: თითქმის ყველა დაკეტილია, კვირაობით კი სულ ღიაა; ამით დავრწმუნდი, ვის ხელშიაც ყოფილა აქაური ვაჭრობა.

აქ ერთი ღვინით მოვაჭრეა, გვარათ პ. კაზაზიანცი. თავის ღვინოს სულ კახურს უძახის და განა მარტო კახური სახელის დარქმევას კი კმარობს; ღვინოებისათვის ბოთლებზე დაუწერია, სახელათ „ნინო“ და „თამარი“. გავსხენი რამდენიმე ბოთლი, გავშინჯე და აი ეს „ნინოს“ და „თამარის“ ღვინოები ღირსებით აღმოჩნდა შაქარ-წყალი მოდუღებული და შიგ ცოტა არაყი და ღვინის ფერი გარეული. პატრონი ეფიცება ყველას, კახეთში სულ ასეთი ღვინო-

ები დგებაო. უეჭველია ჩვენებურ ღვინოებს სახელს გაუფუჭებს.

შაქრო ი. გაჩნაძე.

***

**სოფ. ამბროლაური (რაჭის მაზრა).** სოფ. ამბროლაურში უფასო წიგნ-საცავ-სამკითხველოს დაარსებამ ქვემო რაჭველები უზომოთ გაახარა. სამკითხველო ერთ პატარა სუფთა ოთახშია მოთავსებული, სადაც შეუძლია მკითხველს გაზეთები წაიკითხოს და წიგნები, თუ სურს, სახლში წაიღოს უფასოთ.

სამკითხველოს მმართველათ დაა.ყენეს ვლადიმერ გამყრელიძე, მაგრამ იგი თავს ანებებს ამ საქმეს. მიზეზი ხუთი თვის ჯამაგირის მიუცემლობაა. წევრებს, როგორც ეტყობათ, საწევრო ფულის გამოღება ძალიან უჭირთ და უფულოთ, თქვენც მოგეხსენებათ, სამკითხველოს მართვა კი არა, სხვაც არა შეიძლებარა. წარსულ წელს სამკითხველოს ჰქონდა გამოწერილი „ივერია“, „კვალი“, „ჯეჯილი“, „მეურნე“, „Нива“, „Новое Обозрѣніе“ და წელს კი მარტო „ივერიის“ მეტი აღარა აგდია-რა სტოლზე.

სამკითხველო კაი ხანია ღვთის ანაბარათ არის მიტოვებული. ვინც მისი დაარსება მოიწადინა, არც ფულით და არც საქმით, მისთვის აღარ ზრუნავს.

ვ. ჭ.

—

**სოფ. თლუღს** დიდმა ნიაღვარმა დაახრჩო სოფ. ხოტევის მცხოვრები აზ. ლევანა გოცი?იძე. განსვენებული დაპატიჟებული ყოფილა დღეობაზე, 5 მაის, „ტეხისობას“; იქ თურმე დამთვრალიყო და სახლში გამობრუნებულიყო: გზაში მოასწრო ნიაღვარმა და დაახრჩო, გვამი იპოვეს მეორე დღეს საშინლათ დასახიჩრებული და ტანისამოს-შემოგლეჯილი.

ამავე დღეს დაბა ონში ქაში დაიღრჩო ერთი ებრაელი.

ვ. ჭ.

***

**შულავერი (ბორჩალოს მაზრა),** თბილისიდან შულავერამდის შვენიერი გზა ტკეცილია. რომ მიუახლოვდებით მდინარე კეტს, თვალ წინ გამოჩნდება საშინელი ჭაობი და ტალახი. მდინარეზე ხიდი არ არის, ვიფიქრე წყალზე ხიდი როგორ არ იქნება მეთქი და ავყევი ხან ზევით, ხან ქვევით; თქვენც არ მომიკვდეთ! მე ვერაფერი ვნახე. დავჯექი სასო წარკვეთილი. რამდენიმე ხნის ლოდინის შემდეგ ერთი პატარა ბიჭი მომიახლოვდა სახედრით და მან გადამიყვანა წყალს გაღმა. მივაღწიე შულავერს. მისი ბაზარი ბინძურობით არის სავსე. პირველ ქუჩაზე გამოჭიმული ორი დიდი თავლაა; ორივეს პატივის გადმოსაყრელი დიდი ქუჩისაკენა აქვს. ახლა იკითხეთ კლუბის სისუფთავე: მის წინ დგას კიდევ მესამე თავლა და მასაც პატივის გადასაყრელი სწორეთ კლუბის ქვედა სართულს ამოდგომია გვერდში.

შულავერში ათასი მკვიდრი მცხოვრებია: არის სამსაჯულო, ფოსტა, მაზრის სამმართველო, მაგრამ რა გამოვიდა, ყველასაგან მივიწყებულ-თავმინებებულია, არავინ ყურადღებას არ აქცევს. ვაზს წელს კარგი მოსავალი უჩანს. შარშან თუმცა ბევრი ჩიოდა: წაგვიხდა ვენახებიო, მაგრამ რაკი წელს ჯერ კარგი მოსავალი ჩანს, წამლობაზე აღარავინ ფიქრობს. აქ ქართველებიც არიან ხუთიოდე მოსამსახურე პირნი, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ მათ სახლებში ქართულ ჟურნალ-გაზეთების ნახევსაც ვერ იპოვით.

დ. ცუცქირიძე.

## ნავთის სამეფო.

### (მგზავრის წერილები)

### I.

დარეკეს მესამეთ, დაჰკივლა მწარეთ მატარებელმა და მძიმე ქშინვით გაუდგა გზას. ძლივს მოვასწარ შეხტომა, გადავდექ მოაჯირზე და დავიწყე ცქერა. მიჰქროდა შმაგი მანქანა მეტის-მეტი სისწრაფით, ირხეოდა რაღაც თავისებურათ და მიხვევ-მოხვევაში თვალ-წინ მიდგებოდა ახალ-ახალი სურათები. აი, მიგეეფარა ის ოდესღაც დიდებული, დღეს კი უცხოელთაგან გასვრილ-გაქელილი ვახტანგ-გორგასლანის ქალაქი, მხოლოთ მტკვარი-ღა მოგვდევდა გვერდით და მოჰლილინებდა თავის სევდიან ზაიათს.

უნებლიეთ ამეშალენ რაღაც ტკბილ-მწარე გრძნობანი. მე ვგავდი გალიიდან გაფრენილ ჩიტს, რადგან რამდენიმე დღით მაინც გამოვუსხლტი სამსახურის შხამიან კლანჭებს; აქ კი შემეძლო თავისუფლათ ამოხვნეშა, წმინდა ჰაერის სუნთქვა, ბუნების სურათების ხილვა. ამაზე მეტი სიამოვნება იქნება! მაგრამ იმავე დროს უეცრივ დამბერა სევდის ქარებმა. რა იყო მიზეზი,—ვერ გავარკვიე; იქნება ქალაქის განაპირა ღარიბი ქოხმახები იყო, რომელშიაც მოჩანდენ გამხდარ-დალევრე?ილი ქართველები, ან იქნე-

ბა ბორჩალოს უსაზღვრო მდიდარი მინდვრები, სადაც ერთ ქართველსაც ველარ მზერდით. სამაგიეროთ გეჩრებოდათ თვალ-წინ თათარი და სომეხი. ნუ თუ წარსულში ქართველებით არ იყო დასახლებული ეს ვეებერთელა მაზრა?! ნუ თუ საქართველოს დიდ მეგვარეებს არ ეკუთნოდათ იგი?! დიახ, ეკუთნოდათ, ეკუთნოდათ... მაგრამ თავიანთ უთაურობით, უგულობით და უზრუნველობით ზოგი მიჰყიდეს და ზოგი ჩააბარეს უცხო ტომის მოურავებს, რომლებმაც გაუჭირვეს სიცოცხლე ქართველ გლეხთ, დაარბიეს და განფანტეს ისინი.

მატარებელი კვლავ მიჰქროდა უსაზღვრო ველზე და დრო-გამოშვებით გადაგვიფენდა თვალ-წინ დახნულ ხოდაბუნებს და ამწვანებულ, ხავერდოვან ჯეჯილს; ხან დაგვანახვებდა ხარების, ძროხების დ ცხენების ჯოგს, ხან აგერ შორს გვაჩვენებდა ველზე თეთრათ გადაპენტილ ცხვრის ფარას, რომელსაც ირგვლივ უვლიდენ ამაყათ საშინელი ნაგაზები, წინ კი დაყრდნობოდა კომბალზე მეცხვარე თათარი და დაჰყურებდა მიდამოს ჩაფიქრებული. ერთი სიტყვით აქაური ცხოვრება იყო რაღაც მინდვრული, დინჯი, ველური. კვალად წამიღეს ფიქრებმა. გამახსენდა მჭიდროთ დასახლებული დასავლეთ-საქართველოს კუთხენი, გამახსენდა უმიწობით მეტათ შევიწროებული რაჭველი, ლეჩხუმელი, ოკრიბელი და ზემო იმერელი; იმავ დროს ამავე საქართველოში ვეებერთელა გატიალებული და ფრიად ნაყოფიანი ადგილები: აჭარა, ჩაქვა, ართვინი, შავშეთი, აბხაზეთი, ბორჩალო და სხვ. ნუ თუ არ შეიძლება დავასახლოთ ის შევიწროებული ხალხი ამ უხვ მიწებზე?! ნუ თუ ქართველს არ შეუძლია დასახლდეს იმ ადგილებში, რომელიც მორწყულია მის წინაპართა გმირული სისხლით და მოკენჭილია იმ გმირთა ძვლებით?! ნუ თუ ამ ჩვენ საკუთარ ადგილებში უნდა ესახლებოდენ უცხოელნი, ვილაც მოსულნი სამხრეთით, აღმოსავლეთით და იმ დროს კი ჩვენ თითონ გასანძრევი ალაგი არ მოგვეძებოდეს; სად არის აქ სამართალი! ან ჩვენ თითონ რას ვშვებით, რათ არ ვიღებთ ხმას! რას შვრება ჩვენი ნასწავლი თაობა, ჩვენი ინტელიგენცია?! რათ არ უპატრონებს ხალხს, თავის მოძმეთ, გაჭირვებულ ქართველობას?! მაგრამ რას ვბოდავ! ჩვენს ბრწყინვალე „ინტელიგენციას“ სად ცალია საბრალო ხალხისთვის! იგი უფრო დიდი მიზნითაა გამსჭვალული. იგი ეკუთვნის სხვა-და-სხვა პარტიებს, ნაირ-ნაირ დასებს, იგი თამაშობს დიდს ტრალი-კომედიას, ქვეყნის გამხრწნელს და დამღუპველ პირადობას ემსახურება!.. დაღამდა. წავედი სხვა ვაგონში და მივეცი თავი მორფეის ალერსს.

გათენებისას გამაღვიძა რაღაც ხმაურობამ. გადვიხედე ფანჯარაში და ვნახე ჩემ წინ გადაშლილიყო, ზღვამდე, ვეებერთელა თეთრ-ქვიშიანი უდაბნო (Солончаки). ქაჩალივით მოჩანდენ ალაგ-ალაგ რაღაც უცხო მცენარენი. აჰა, თვით დიდებული თეთრ-ზვირთოვანი გურგენიც, სადაც თამარ მეფემ ჩააგდო რკინა და აღიარა იგი საქართველოს საზღვრათ. კიდევ რამდენიმე სადგური და, აი, გამოჩნდენ საოცარი შენობანი, ზოგი შავი მაღალი პირამიდის მგზავსნი, რომლებიც შორიდან წააგავდენ ნაძვის ტყეს, ზოგი თეთრი ქვიდან ნაშენი სწორ-სახურავიანი, გამოჩნდა შავი, ჯოჯოხეთური კვამლი, შავი ნავთის ტბები, მოისმა მუშათა და მანქანათა ხმაურობა, ჩოჩქოლი, გრგვინვა, ღრიალი, გამოჩნდენ შავათ დასვრილი მუშები: ქართველები, ლეკები, სომხები, სპარსელები; გამოჩნდა მთელი ტყე ხომალდთა ანძებისა. კიდევ რამდენიმე წუთი და მატარებელი შეცურდა ბაქოში.

## II.

ესეც ნავთის სამეფო! ძლივს ამისრულდა წადილი. ეს ორი წელიწადია ვცდილობდი მენახა საქართველოს ძველი საზღვარი, მენახა თეთრი გურგენის ზღვა, მენახა ბაქო და ნავთის წარმოება და ამისრულდა კიდეც. იმ დღესვე დავიარე ბაქო, შავი ქალაქი, საბუნჩი, ბალახანი და ბიბი-ეიბათი, დავათვალიერე ნავთის წარმოება, ნავთის აღმოხდენა, გარდაქმნა, გაწმენდა, ბენზინისა და კეროსინის გამოხდა და სხვ.

ბაქოს და მის არე-მარეს ნამდვილი ამერიკული ფერი ადევს, როგორც თავისებურ შენობებით, ეგრეთვე მეტადრე წარმოების ხასიათით. წარმოიდგინეთ ერთ უდაბნოში, მიყრუებულ ალაგას ზღვის პირათ აშენებული ვრცელი ქალაქი ასი-ათასი მცხოვრებით. შიგ ქალაქში და ირგვლივ დიდ მანძილზე არ მოიძებნება ერთი უბრალო ხეც კი, გარდა გუბერნატორის ბაღისა, რომელსაც ინახვენ დიდი ხარჯით და ოსტატობით, არ მოიძებნება წმინდა სასმელი წყალიც (მცხოვრებნი ხმარობენ ან წვიმის წყალს, ან მარილიან ჭის წყალს, ან მარილგაცლილ ზღვის წყალს), არ მოიძებნება უბრალო ბალახიც კი; ყველაფერი გადამწვარა და გადამხმარა, მუდამ ქარები, მუდამ მტვერის ბუქი, მუდამ სიცხე და უწვიმობა ზაფხულში. აქ თითქო მომკვდარა ყველაფერი, მომკვდარა თვით ბუნებაც. ირგვლივ ნავთის მყრალი სუნი, შავი ბოლი, შავი ტბები, ალაგ-ალაგ მიწიდან ამოხეთქილი უქრობელი ცეცხლები, დემონის მგზავსი შავი მუშები, ერთი სიტყვით ეს ალაგი წააგავს ნამდვილ ტარტაროზს.

ბაქოს მიდამო ისეა გაჟღენთილი ნავთით, როგ

სადაც უნდა დაჰკრა ბურღვი, თითქმის ყველგან აღმოაჩენ ამ მყრალ მოშავო სითხეს. ზოგ ალაგას კი, მაგ. რამანში და ბიბი-ეიბათში ხშირათ ამოხეთქილა ჭიდან ნავთი შადრევანივით 10—12 საჟენ სიმაღლეზე და ისე ბლომათ, რომ დღე და ღამეში წარმოუდგენია 500-ათასიდან ერთ მილიონ ფუთამდე ნავთი; ამგვარი შადრევანი გაგრძელებულა რამდენიმე კვირა და ხშირათ ორი-სამი თვეც. ეჭვი არაა ამ გვარი შადრევანის პატრონი დიდ ბედნიერათ თვლის თავის თავს, რადგან ერთ-ორ დღეში ამოხეთქილი ნავთი ფარავს ყოველსავე ხარჯს. დანარჩენი კი რჩება პატრონს მოგებათ. რომ ავიღოთ გაუწმენდავი ნავთის დღევანდელი ფასი, ე. ი. 8 კაპეიკათ ფუთი, ვნახავთ, რომ მილიონი ფუთის მომცემი შადრევანი აძლევს პატრონს დღე და ღამ წმინდა მოგებას 80,000 მანეთს და თუ ეს ბუნების წყალობა გრძელდება რამდენიმე თვე, მაშინ ხომ მილიონების პატრონათ ხდის მრეწველს. ამისთანა მაგალითები არა ერთი და ორია ამ ჯადოსნურ ქვეყანაში. გუშინდელი ქვისმტეხელი მუშა, სპარსელი ტაგიევი, დღეს ამავე საწაულით შექმნილა 25 მილიონი მანეთის პატრონი.

ბაქოდან სამი-ოთხი ვერსტის სიშორეზე იმყოფება შავი და თეთრი ქალაქები. პირველია ძველი, მეორე ახალი. ორივე სავსეა ნავთის ქარხნებით. აქ სხვა ალაგებიდან მოდის მილებით წყლიდან დაწრეტილი გაუწმენდავი ნავთი და აქ დიდ-ვეებერთელა ქვაბებში, (რომლებიც ძლიერ წააგავს საარაყე ქვაბებს, ანუ კუბებს) იხდება ბენზინი და კეროსინი. როგორც ღვინიდან შესაძლოა გამოიხადოს სპირტიც და არაყიც, აგრეთვე ნავთიდან იხდება პირველათ ბენზინი, როგორც უუმჩატესი ნივთიერება, მერე კეროსინი, ე. ი. სანათათ სახმარებელი ნავთი და ბოლოს რჩება მაზუტი, სქელი ყომრალი და მყრალი სითხე. გაწმენდილი ნავთი, ანუ კეროსინი რამდენიმე ათი მილიონი ფუთი გააქვთ ყოველ წლობით რუსეთსა და ევროპაში, გააქვთ ეგრეთვე სპარსეთშიაც. რუსეთში კეროსინის გამტანთა შორის ყველაზე უუდიდესი ფირმაა ნობელი, ევროპაში გამტანი კი უმთავრესათ როტშილდია. ბენზინიც ბევრი გააქვთ რუსეთსა და ევროპაში. მაზუტი და გაუწმენდავი ნავთი წარმოადგენს ყველაზე იაფ საწვავ მასალას, ამიტომ შეშის და ქვა-ნახშირის ნაცვლათ იხმარება ისინი მილიონი ფუთობით რკინის გზებში, ფაბრიკა-ქარხნებში, ორთქლის გემებში და სხვ. კეროსინზე და ბენზინზე მთავრობის მიერ დადებულია ბაჟი (აქციზი) ფუთზე ორი აბაზი. ამ რიგათ ხაზინას დიდი შემოსავალი აქვს ნავთის წარმოებიდან.

ს. ქ—ნი.

(შემდეგი იქნება)

# გ ა კ ვ რ ი თ.

## (გ ზ ა - დ ა - გ ზ ა)

თფილისიდან ბაქომდე.—ბაქო.—რამდენიმე დღე ბაქოში—ბაქოდან ლენქორანამდე.—გემით მოგზაურობა.—ლენქორანი.—მისი ადგილ მდებარეობა.—ბუნება.—ჭაობ.—მცხოვრებთა რაოდენობა.—მკვიდრთა ცხოვრების სახსარი.—ლენქორანის ქართველობა.—მეორე ციმბირი.—ლენქორანის ცხელი წყლები.—მათი მომავალი.—საერთო დაუდევრობა.—

### II *)

მართალია დღეს შენ პიროვნებას ხელს ვერავინ ახლებს თუ არსებულის კანონით იცხოვრე, მაგრამ ცარიელი პირადი თავისუფლება რაღა დიდი ბედნიერებაა, როდესაც, მაგალითათ, უმიწაწყლო ხარ, საცხოვრებელი არ მოგეპოვება და იძულებული ხარ გამოხვიდე ბაზარში და საქონელივით ფულის პატრონს თავი შეაყიდო! წინათ ფულის პატრონი, იგივე ბატონი, შენ უნებურათ, გიბძანებდა, გაგყიდდა, ქალ-რძალს გაგიუპატიურებდა, დღეს კი...

ამ გვარმა დამოკიდებულებამ თავისუფალის პიროვნებისა ფულის მექონეებთან გარყვნა და წაახდინა თანამედროვე ცხოვრება. ამ გვარი დამოკიდებულება, როგორც უკვე მოგახსენეთ, აიძულებს ყოველ ხელ-მოკლე კაცს, თუმცა ზიზღით, მაგრამ მაინც უშეწყვეტათ თავისი თავი თითონვე „გაიტანოს“ ბაზარში და დაფარული გულის წყრომით, მაგრამ ღიმილით, გაჰყიდოს თავისი ძალ-ღონე. ყოველ-სულიერს და მით უმეტეს ადამიანს ცხოვრება უნდა, სულიერ და ხორციელ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი, ცხოვრების სახსარი კი ამჟამათ ფულია და, აბა, რაღა საკვირველია, რომ ფულს ხოტბა-დიდებით იხსენიებდენ და გამდიდრებულს, თუნდაც იგი სიმდიდრე უსინიდისოებითა და უპატიოსნობით ჰქონდეს მოგებული, ბოღმით სავსე გულით, მაგრამ მოწიწებით უყურებდენ... ეჭვს გარეშეა, რომ ფულის ბატონობას, ერთხელაც იქნება, ბოლო მოეღება, ისე როგორც მოეღო ბოლო ათას გვარ კაცის შემავიწროებელ და მეცნიერების მდევნელ დაწესებულებათ; აუცილებლათ, ან კაპიტალიზმი შეუღლახავს რომელსამე სხვა მოვლენას, ან თავის თავს ამოიჭამს. მაგრამ დღეს კი მეტის მეტი გამწვავებულია საქმე. ევროპის მუშათა ცხოვრება, მათი ზნე-ჩვეულება, მათი

*) იხ. „კვალი“, № 21.

ჭირი და ლხინი თვალსაჩინო სურათია კაპიტალიზმის შედეგისა!

დიახ, საშინელ მდგომარეობაშია ჩაყენებული კაპიტალისტებისაგან ის ქვეყნებიც კი, სადაც პიროვნებას დიდი უფლება მიეცა, სადაც ასე გასინჯეთ თვით მთავრობაც კი ხალხისაგან არის დამოკიდებული, ამორჩეული, სადაც საქვეყნოთ შეგიძლიათ ხმის ამოღება და გაკიცხვა ყოველივე ბოროტებისა, მაგრამ ფულს მაინც იმოდენა ძალა აქვს, იქამდის ხელს უწყობს თვისს მექონეს, რომ მუშათა დრტვინვა-გოდებას დღემდის საზღვარი არა აქვს. ათას გვარი ამბოხება, უკმაყოფილების გამოცხადება, ათასი „მუშათა ამხანაგობანი, პარლამენტების წევრთა ჩხუბი და კამათი, ერის სხვა-და-სხვა წოდებათა შეჯახება და სხვა, ნათლათა ჰმოწმობს, რომ მეტის მეტი გამწვავებული ბრძოლაა გაჩაღებული განათლებულ ქვეყნების" „ფულიანთა და უფულოთა შორის, რომლის მსხვერპლს საზღვარი არა აქვს..

მაგრამ კმარა, მკითხველო, მგონი თავი მოგაწყინე! ჩვენმა მატარებელმა დიდი ხანია ზურგი შეაქცია ნავთის კოშკებს, რომელთა დანახვამ ასე ბევრი გვალაპარაკა!.. ჩვენ წინ ახლა ბაქოა გადაშლილი, ეს „ნავთის სამეფოთ" წოდებული ქალაქი.

## III.

ბაქოში რომ შევდიოდით ჩემი ყურადღება პირველათ ზღვამ მიიქცია, რომელიც უზარმაზარ ქარხნებსა, ნავთის ქვაბებსა, შენობებ'სა და ხალხის ჭრიამულს თითქოს დაუბრიყვებიათო, დინჯათ გართხმული ფერხთა ქვეშ მდიდარი ქალაქისა და განაბული, მიმქვდარებული მეჩვენა. მხოლოთ შორს, ლურჯათ გაკრულ სივრცეში აფრაგაშლილი ბარქასები და შავათ აწოწილი გემები თავისუფლათ მოჰქუსლავდენ ქალაქისკენ. მეც ჯერ-ჯერობით ავახილე თვალი, ზღვასა და ქალაქს დავაშტერდი. კარგა დიდ, მაგრამ ოღრო-ჩოღრო მანძილზე გადაჭიმულა ქალაქი ბაქო; თეთრათ ნალესი, ნათალი ქვით აგებული, ბანიანი სახლები ერთი მეორეს ეცილება სისპეტაკე-სიდიადეში და ერთმანეთს გამოჰკიდებიან. საერთო გამოხატულება თითქო აზიურ ქალაქს უგავს. ევროპიულ ქალაქებში, აუარებელი გუმბათები სახურავები და აივანები გადაჰფარებიან შენობებსა და შორიდან რომ უცქერით თვით სახლები რიგიანათ არ ჩანან; აქ, ბაქოში კი, მარტო ტიტველა სახლებსა ჰხედავთ, სახურავიანი სახლები იშვიათათ შეგხვდებათ. და ეს კი იმიტომ, რომ დრო გამოშვებით ძლიერი ქარები ცოდნია ბაქოში და რასაკვირველია სახურავები მეტი ბარგი იქნება.

ახლა რიგი მოითხოვს ბაქოს შინაგანი არსიც გაგაცნო, ჩემო მკითხველო, მაგრამ სამწუხაროთ არ ძალმიძს დავაკმაყოფილო შენი ცნობის მოყვარეობა. მართალია შიგ ბაქოში თითქმის ცხრა დღეს დავრჩით, მაგრამ ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო ვერ მოვახერხე ბაქოს დათვალიერება. ერთი ორჯელ გავიარე უმთავრეს ქუჩაზე, „შავ-ქალაქშიაც" ვიყავი, რომელსაც შავი იმიტომ ჰქვია, რომ მისი შენობები საშინლათ გამურულია ქარხნების ბოლით და ნიადაგი შავ-ბნელათ გაჟღენთილი აქვს ნავთის კვამლით. ალაგ-ალაგ მაზუთის ტბები დგას, ქუჩები ნავთის გასაყვან მილებით არის მოდებული და ჰაერი ნავთის სუნით აშმორებული. ეს იყო და ეს, მეტი დათვალიერება არ მეღირსა. გარემოებამ ჩემ მიერ დაქირავებულ პატარა ოთახში გამომამწყვდია და დღეებმა მითხრეს: „აქ მოიცადე, ვიდრე გეღირსებოდეს და აქედან წასვლას გიბრძანებენო".

ცოტა, ძრიელ ცოტა რამ ვნახე ბაქოში, მაგრამ ეს ცოტაც საკმარისია, რომ თამამათ ვთქვა: ბაქო „ფულის ქალაქია", ფულის საკურთხევლათ გადაქცეული!.. რომელ სახლსაც შეხედავ, თითქოს ზედ-წარწერა მოგევლინება: „ეს სახლი ძლიერ მდიდრისაა და თუ ფულები არა გაქვს, ახლოსაც ნუ გაუვლიო. ვისაც გინდა შეხედოთ, მორთულ მოკაზმული, ფაცი-ფუცით სადღაც და რისთვისაც მიეშურება. ალბათ საქმე, ფულები თუ აცხუნებს! ცხენი, აქლემი, ჯორი, ადამიანი, „პოვოსკა", დროგი, ერთმანეთში გადარეულა. აქაური ცხოვრება აფორიაქებული და ფეხადგმულია! გეგონებათ თვით შენობებიც კი მოძრაობენო. „ფული, ფული, და ფული"! აი, მთელი შინაარსი ბაქოსი და უფულო, უთვისტომო, უნაცნობო და თავისუფლებას მოკლებული კაცისათვის, წარმოიდგინეთ, რა თავ-ბრუ-დამსხმელი უნდა იყოს ბაქოს ღრიანცელი და ორომტრიალი, მით უმეტეს, რომ არ შეგიძლია რაიმე მონაწილეობა მიიღო საერთო ჩოჩქოლში და მხოლოთ იძულებული ხარ, ყოველსავე უფლებას მოკლებულმა, შორიდან ადევნო თვალი!.. მეც დილით საღამომდის ოთახის ერთი კუთხიდან მეორეში გავდიოდი. მაზრაზებდა ოთახში შემოჭრილი ღრიანცელი, სულს მიხუთავდა ოთახის დახშული ჰაერი, გულს გვიკლავდა მარტოობა და მოწყენილობა.. მე და ჩემი ბედის-გამწევი ერთმანეთს შევხედავდით, მწარეთ ჩავიცინებდით ხოლმე და კარებისკენ გვეჭირა თვალი, აცა, როდის მოგვეცა დრო რომ ერთი მალე გავუდგეთ გზასა, გავცილდეთ ამ ნავთით აშმორებულ ქალაქს, თავი ჩვენი მივანდოთ თეთრი ზღვის ტალღებს და წმინდა ჰაერზე თავისუფლათ ამოვისუნთქოთო.

დიახ, იმის მეტი არა დამრჩენოდარა, რომ მე-

ფიქრნა აწმყოზე, წარსულზე, მომავალზე და კვლავ ბოდიშს ვითხოვ, ჩემო მკითხველო, რომ ჩემ თავს ნებას ვაძლევ და ვაპირებ მოკლეთ, გაკვრით მაინც გადმოგცე ჩემი ნაფიქრი.

ია ეკალაძე.

(შემდეგი იქნება)

## კიდევ ფონდების საქმის შესახებ.

გაზ. „იევერიის“ № 59-ში იყო დასტამბული ბატონ კ. ა—ძის წერილი „ფონდების საქმე ჩვენში“. მგონი ყველა დაეთანხმება ავტორის აზრს, რომ ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს მის მეტი, რომ ეს ათასგვარი ფონდები, თუ არ შეგვიძლია საქმის გაკეთება, შევაერთოთ, რადგან ჩვენი ღარიბი საზოგადოება არც ერთ ფონდს არ აძლევს იმდენს, რომ თავნი შეუხებლათ შევინახოთ. ჩვენ ყველას სენათ გვჭირს ახალ-ახალი საქმეების დაწყება და სისრულეში მოყვანას კი თავს არ ვუდებთ...

რედაქციები და თვით „წერა-კითხვის საზოგადოებაც“, რომელსაც ჩვეულებრივ აბარებენ ფულებს, გაჭირვებულ მდგომარეობაშია ხოლმე ჩაყენებული. კანონის მცოდნენი გაიძახიან: იურიდიულათ ნება არა გაქვთ გაუმართოთ ვისმეს ხელიო, და ძევს გამოუყენებლათ ეს პატარ-პატარა ფონდები. იყო ორიოდე ისეთი მაგალითიც, რომ, როდესაც ჩვენმა გაჭირვებულმა და ავათმყოფ ლიტერატორებმა თხოვეს „წერა-კითხვის საზოგადოების მმართველობას სალიტერატურო ფონდიდან დახმარება და მათ ცივათ უპასუხეს: ჩვენ იურიდიულათ უფლება არა გვაქვს შევეხოთ ამ ფულს. ეს თავნათ არის მოგროვილიო. (ფული კი სულ 300 მანეთია. ჩვენ შვილის შვილის შვილსაც კი, მგონი, არა მოესწროსრა).

„კვალის“ რედაქციაში შემოდიოდა ორ გვარი შემოწირულობა: ერთი სახელდობრ „ირაკლის ფონდი“, ამის მიზანი განსაზღვრულია—უნდა მიეშველოს იმ მოსწავლე ყმაწვილებს, რომელნიც რუსეთში სწავლას შემდეგ საჭიროებენ დაჰყონ საზღვარ გარეთ ორი-სამი წელიწადი გასავითარებლათ. რადგან ახლა შედგა პატარა წრე ამ მიზნით და კიდევაც მოქმედებს, მე ვალათ ვრაცხ ჩემ თავს ამ მიზნით მოგროვილი ფული 170 მ. გადავცე მათ იმ პირობით, რომ დღეიდან ექვსი თვის განმავლობაში თუ ვინმე შემომწირველთაგანი უკმაყოფილებას გამოაცხადებს, მაშინ საქმე უნდა გაირჩიოს ბჭედით და ზემოხსენებული წრე მოვალე იქნება, თუ მოვთხოვთ ფულს—უკანვე დაგვიბრუნოს; ასევე რომ მოიქცეს „ივერიის“ რედაქცია და ირაკლის სახსოვრათ მოგროვილი ფული, რომელიც ინახება წერა-კითხვის საზოგადოებაში, გადასცეს ამ წრეს, რომლის წევრებიც დასახელებული იყვნენ ამ წელს „კვალში“ (№ 8), ამითი წაახალისებს იმათ და გააცხოველებს მათგან დაწყებულ საქმეს.

რაც შეეხება კვალის რედაქციაში საერო და ზეპირ სიტყვაობისთვის მოგროვილ ფონდს, ამის შესახებ უნდა მოვახსენო მკითხველებს, რომ იმასაც ჰყავს ამორჩეული კომიტეტი, მაგრამ, რადგან წევრები უფრო ქალაქ გარეთ იმყოფებიან და ამასთანავე იმ აზრისაც იყვნენ, როგორც თვითონ არა-ერთხელ უთქვამთ, რომ მოგროვილი ფული უნდა ხელ-შეუხებლივ თავნათ იყოსო,—მეც ბილეთი ავიღე ას თუმნიანი (ამაშივეა მიწერილი ირაკლის ფონდიც, რომელსაც თითქმის წელიწად ნახევარია სარგებელი შემოაქვს. ამ ფულიდანვე დაიბეჭდა წიგნაკი „სოლომონ მეფე“. ჩემის აზრით ძალიან კარგი იქნება, რომ საქმე გაცხოველდეს, სამი-ოთხი ახალგაზდა მუშაკნი ჩადგენ ამ საქმეში და იმისთანა პირების ხელმძღვანელობით, როგორც არის, მაგალითათ, ჩვენი პოეტი აკაკი და სხვები, შეუდგენ მხოლოთ სახალხო ზეპირგადმოცემების დასტამბვას და მაშინ ფულიც ხელ-შეუხებელი დარჩება, რადგანაც ამ ფულით დასტამბული წიგნები დახარჯულს დააბრუნებს.

იმედია გაზ. „ივერია“ უყურადღებოთ არ დატოვებს ამ ჩემ წერილს და გადაბეჭდავს.

რედ. „კვალისა“ ან. წერეთლისა.

## თუშური სიმღერები.

### VII. *)

სად მიხვალ, შავო ყორანო,
სად მიგაქვს შავი მხრებია?
ჩვენი ვერ ნახე დავითი—
თრიალეთს იყო ცხვარზედა.
დავითი როგორ ვერ ვნახე—
ჩირდილელებსა მოუკლავთ
ჩილდირის ტბისა 1) პირზედა.

*) იხ. „კვალი“ № 20.

1) ეს ტბა ახლა საჩვენოშია, ხოლო წინათ საოსმალოში იყო.

სამი დღე ყორნებ დაჰტრიალებენ—
პატრონ არ ჰყავის მკვდარსაო,
მეოთხე დღესა შაიტყეს ძმებმა დავითისამაო.
ერთი იქავე შასწირეს—
სულეთს უზიდე წყალიო,
ალევანში რძალი მიეგებება—
,,ყმაწვილო, შენ რა უყავ
დავითი, ჩემი ქმარია?"
—დავითი იქავ გავწირეთ:
ფეხთა დაუბით ლურჯაი,
ლაგამს ჩამოსდიოდა ცრემლია;
თავით უწყვია თოფ-იარაღი,
ჟანგმან უცვალა ფერია".
ალევანს შაიტყო დავითის მამამ—
წელს შამაირტყა ხმალია,
ადგა, წავიდა თრიალეთს—
ოსმალოებისა მუქარაზედა.
ხოდიშის თავსა გადმოვიდოდა—
რიყედ დაყარა მკვდარია.
შვიდი ერთათ შაუწირია—
სულეთს უზიდეთ წყალია.
შენ მოსვენებით იჯექ, შვილო,
მწყემსებს აბრუნებინე ცხვარია.



## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! იმას შემდეგ, რაც ამდენი ენა გაილესა და, სხვა რომ არა იყოს-რა, ქაღალდი და მელანი მაინც დაიხარჯა ,,მარგალისკუების"-ს გამო, დამავალებთ და თქვენ გაზეთ ,,კვალ" ში ამ მცირე წერილსაც მისცემთ ადაგს. რასაკვირველია, ბევრი დამცინებს, გამლანძღავს და ცილს დამწამებს. ამის მეტი რაღა მოუნიშვნია ჩვენთვის განგებას. მაგრამ, ყოველივე იმის შიშით რომ ჩვენში ადამიანმა ხმა აღარ ამოიდოს, ხომ ლაპარაკიც გადავიწყდება. ნუ თუ ასე ძნელი გასაგები იყო, რომ სიტყვები ,,ავყოლივართ ვიღაც გადმოვარდნილ მარგალისკუებს, რომელთაც"... შეეხებოდა მხოლოთ ერთ ადამიანს და არა მთელ მეგრელებს?! ეს სიტყვები გამოიწვია ქართველებსა და სომხებ შორის ატეხილმა ლანძღვა-გინებამ. რა ჩაიდინეს აქ მთელმა მეგრელებმა ისეთი, რასაც ჩვენ ავყევით, რომ მათ მივაკუთვნოთ ზემოთ მოყვანილი სიტყვები? ასეთი მთელ მეგრელებს არა მოუქმედებიათ-რა. მოიქმედა მხოლოთ ერთმა მეგრელმა (კარგი ქნა თუ ცუდი, ეს სხვა კითხვაა) და მაშასადამე მხოლოთ იმას შეეხებოდა ბ-ნი გიორგი წერეთლის სიტყვები და არა მთელ მეგრელობას. ბევრს გონება მით დაბნევია, რომ მრავლობით რიცხვშია სიტყვა დასმული, მაგრამ პატარა ძალა რომ დაეტანებიათ ტვინისათვის და ჩაკვირვებოდნენ, თუ რა მიზეზმა გამოიწვია ეს სიტყვები, დარწმუნდებოდნენ, რომ მეგრელობა აქ არაფერ შუაშია და მთელ ხალხზე ამ სიტყვების გავრცელება შეუძლებელი იყო. სხვა დროს რომ ყოფილიყო ნათქვამი, მაშინ კიდევ ჰო, მაგრამ ამ შემთხვევაში, როდესაც მთელ მეგრელობას ქართველ-სომეხთა საქმეში ჭრინტიც არ დაუძრავს, როგორ შეიძლება ,,ავყოლივართ მარგალისკუებს"... მთელ მეგრელობაზე გავავრცელოთ?! იმაზე ადვილი არა არის-რა, რომ ყოველი აზრი ისე გაიგოს ადამიანმა, როგორც თვითონ ნებავს და შემდეგ მის დარღვევას და გაკიცხვას მოდგეს. სომხებსაც უნდა გამოედვათ თავი, რადგანაც იმ წერილში ,,ხეჩაგოგებიც" იყვნენ ნახსენები და დაემახათ, გიორგი წერეთელმა ყველა სომხები დაგვლანძღაო, მაგრამ ჩვენ მეზობლებს ნაკლულევანებას გარდა ღირსებასაც რომ მოვუნახავდეთ, შეიძლება გამოგვადგეს.

ლანძღვა და გინება რომ ჩვენში დიდსაც და პატარასაც უპირველეს მცნებათ გადაქცევია და სულის ცხონებას ურჩევნია, დიდი ხანია ვიცით: ქართველი ბავში ახლა უმეტეს ნაწილათ გინებით გამცნევსთ ენის ადგმას. მხოლოთ არა თუ უსაფუძვლო, საფუძვლიან ლანძღვა-გინებასაც არაოდეს არ იკადრებს ის ადამიანი, რომლის სულიერ მხარეს პატიოსნება-ზნეობა ამშვენებს, და ვისაც ეს თვისება უარ-უყვია, ის ადამიანის სახელის ტარებასაც უნდა გამოეთხოვოს.

ქ. მოსკოვი. ერთი სტუდენტთაგანი.

# ზოგიერთი ცუდი თვისებანი მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის წარმოებაში.

ამ ამხანაგობის, ამის კრებების და საქმის წარმოების შესახებ მკითხველები მოუთმენლათ ელოდით, რომ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტები აგვიხსნიან—გამოარკვევენ საქმის აწინდელ ვითარებას და გვაჩვენებენ მის მიმართულებას მომავალშიაც—თქო; სამწუხაროთ ამ კითხვების გამორკვევას სრულიად მოკლებული ვართ; ამისთვის უნდა იფიქროს კაცმა, რომ იქ მყუდროებაა, ფაჩი-ფუჩი არ ისმის და საქმეც კარგათ უნდა მიდიოდეს?! ჩემი ფიქრით, არც ერთი, არც მეორე: მყუდროებაა, ხმა არ ისმის გარეთ,—ხმაურობაა, ქუხილია შიგ. ორივე შემთხვევაში საქმის გარკვევა, გამოქვეყნებაა საჭირო. ავხსნათ თავი და ბოლოც... ხალხში ერთი ლეგენდარული გადმოცემაა დარჩენილი. ის ამბობს, რომ აბრეშუმის თესლი ინდოეთიდან თუ ჩინეთიდან ორმა მოგზაურმა ბერმა შამოიტანაო. (ვფიქრობ, ბერები ბერძნები უნდა ყოფილიყვნენ). იქ ბერები სარწმუნოების მქადაგებლათ მისულან, ამათ შეუნიშნავთ, რომ აბრეშუმის შვენიერი ნაქსოვების პირველი მუშაკი ჭია ყოფილიყო. ამას თუთის (ბჟოლის) ფოთლებს აჭმევდენ; იზრდებოდა და თავის დროზე დაიწყებდა პარკის ხვევას; თვითონ კი შიგ რჩებოდა და რამდენსამე ხანს შემდეგ პეპელათ გამოდიოდა, რომელიც ისევ იმავე თესლს იძლეოდა. ყველა ამ პროცესს უთუოთ კარგათ დაუკვირდა პირველი აბრეშუმის შამომტანი ჩვენში.

ხალხი ამბობს: რადგან ინდოეთიდან, თუ ჩინეთიდან, იქაური ნაწარმოების გამოტანა აკრძალული იყოვო, ამისთვის ბერებმა მოახერხეს თურმე და თესლი თავიანთ გამოხვრეტილ წინ-საბიჯგ ჯოხებში ჩაყარესო. ამნაირათ გამოუტანიათ ეს შვენიერი აბრეშუმის ქსოვილების, შვენიერი ტანისამოსის პირველი მუშა-ჭია. რა გვინდა ამით, რომ ვთქვათ? ის, რომ აბრეშუმის ჭიის აღზრდა და ქსოვილების კეთება ახალი საქმე არ არის ჩვენში. ეს წარმოება უხსოვარ დღიდან მომდინარეობს; ეს შეადგენდა დღემდი ჩვენი ხალხის (განსაკუთრებით იმერეთში მცხოვრებლების) ერთ საუმჯობესო ეკონომიურ მხარეს, და დღესაც დიდი ალაგი უჭირავს აბრეშუმის მოყვანას ჩვენში. 1) დედა-კაცებმა მამა-კაცებზე უფრო კარგათ იციან აბრეშუმის მოვლა და ეს საქმე თითქმის დედა-კაცებისათ გაუხდიათ. ესენი მიიღებენ პეპელიდან თესლს, თესლიდან ჭიას, ჭიას თუთის ფოთლებით კვებავენ, ჭია ახვევს პარკს, პარკიდან ძაფს ამოიღებენ, დაართვენ და ძველებური დგიმ სავარცხლის საშუალებით დარაიებს და აბრეშუმის ქსოვილებს აკეთებენ. ამ ძველ მამა-პაპურ დგიმ-სავარცხელზე მოქსოვილი დარაიები ერთმანეთისაგან სიკეთე-სიმაგრით განსხვავდებიან. ვინც კარგ პარკს ცალკე გადაარჩევს, ვინც მეტ ძაფს მოანდომებს, კარგათ დაჩითავს და მეტს იმუშავებს, ის შვენიერ აბრეშუმის ქსოვილს აკეთებს. ამ გვარათ ქსოვილის უმთავრესი ღირსება მის სიმაგრე—ხელობა სილამაზეში გამოიხატება. შინ მომზადებულ დედა-კაცების ქსოვილს, რამდენათ უფრო მეტს რეცხავ, იმდენათ უფრო სიკეთე ურჩება; ბეჯითათ ნაქსოვი დარაია იყიდება 80—100—120 კაპეიკათ ალაბი, ჩვეულებრივი დარაიები კი 50—60—70 კაპ. იყიდება ალაბი, რადგან ამ ფასათ გაუდის, ხალხი დიდ ნაწილს აბრეშუმის მოსავლისას ჰყიდის და სამაგიეროთ 10—15—20 კაპეიკიან ნარმა მიტკალ ჩითს ჰყიდულობს და ვხედავთ, რომ აბრეშუმის წითელ დარაიების მაგიერათ თეთრ ნარმის, მიტკლის და ჩითის პერანგებით არიან შემოსილნი, ამაზე გადანარჩენი ფულით კი სხვა საჭიროებას იკმაყოფილებენ: სახელმწიფო გადასახადები, სკოლა-მასწავლებლის, მღვდლის დრამა, სანთელი და სხვა.

მკითხველს, რომ წარმოდგენა ჰქონოდა ჩვენი ხალხის ამ დარგის წარმოების შესახებ, ამისთვის საჭიროთ დავინახეთ, ეს მოკლე სურათი მიგვეცა მისთვის. ამით მოკლეთ ვთქვით, რომ აბრეშუმის კეთება-მოყვანა ჩვენში ისტორიულია, მისთვისაცაა,

---

1) ღრმათ მოხუცები ამბობენ: ძალიან სასიამოვნოთ გვირჩებოდა, როცა ვხედავდით ყანებში გასულ მუშებს წითელ დარაიის პერანგებში შემოსილებს. დღეს თუ წითელ დარაიის პერანგებს ყანების მუშები არ აცვიათ, ამის მიზეზით ფაბრიკული ნაქსოვების გავრცელება უნდა დავუსახოთ, რომელიც უფრო იაფია, ვინემ „წითელი დარაია“. აბრეშუმს კი ხალხი ჰყიდის უმეტეს ნაწილს ადგილობრივ ბაზარზე, უფრო —ურიებ-ვაჭრებზე, რომლებიც ყელში უდგიან მწარმოებლებს.

რომ ბევრ დედა-კაცს შეხვდებით, რომლებიც სამაგალითო დარაიებს, ქსოვილებს აკეთებენ; მიეცით ამათ უკანასკნელათ გაუმჯობესებული საქსოვი მანქანები და ბევრათ უკეთეს აბრეშუმის ქსოვილს მოგიმზადებენ.

ახლა გადავიდეთ და ამხანაგობის დასაწყისი და საქმეები გავარჩიოთ. როცა ხალხში რამე საჭიროება იბადება, უთუოთ ის იზრდება და თანდათან ფორმა ეძლევა— თავის დროზე კიდევაც განხორციელდება.

ამ 30 წლის განმავლობაში (ანუ უფრო წინ), დაბადებული ხალხის საჭიროება იზარდა დღემდის, და დღეს მანვე დააკმაყოფილა, ან მომავალში დააკმაყოფილებს. ის მომწიფდა და უფრო და უფრო ძლიერ იგრძნო ეკონომიურ მდგომარეობიდან დაბადებული საჭიროება. ამისთვისაც გვესმის საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხიდან „ამხანაგობა-ამხანაგობა, დეპოკასებია ჩვენი მხსნელი". თუ ხალხს საჭიროთ არ დაენახა ამხანაგობების შედგენა, განა ისე თითოოროოლა შულც-დელიჩისტებს შეეძლოთ ამხანაგობების შედგენა? ჩაიხედონ ჩვენი ხალხის ისტორიაში, იქ დაუკვირდენ მეფეების-მეფეებთან, ხალხის-ხალხთან, თავადების-დავადებთან დამოკიდებულებას, წეწვა-გლეჯას და მაშინ დარწმუნდებიან, რომ ამხანაგობების შედგენას, მოთხოვნილობების წარმოშობას სულ სხვა პირობები ნდომებია და არა აზიური ყელსაბელი. აქიდან ცხადია, რომ მჩხავანა მქადაგებლები ცხოვრებაში კვალს ვერ გაავლებენ, მხოლოთ ხალხის გულში გაჩენილ და გაზდილს საცხოვრებელ საჭიროებას შეუძლია ხალხის ამოძრავება. და ეს არის ერთი დროის მეორეზე შემცვლელი. ამგვარ კითხვების შესახებ წაიკითხეთ ნ. ჟორდანიასი დიდათ საყურადღებო წერილები „ეკონომიური განვითარება და ეროვნება"—„მოამბე" IV და V 1894 წ. და ისტორიულათ ჩვენი ხალხის განვითარების სინამდვილეზე იქ დარწმუნდებით. ასეთ საჭიროებას ღრმათ გრძნობს ჩვენი საზოგადოება და ცდილობს, რომ თავისი ინტერესები განახორციელოს. ეს, მისი ინტერესები მის ეკონომიურს მდგომარეობაზეა დამყარებული და, როგორ გახორციელებს, ეს თანამედროვე პირობებზეა დამოკიდებული.

აი, ასე ვთქვათ, ერთი ამგვარი კითხვათაგანია 1895 წ. თებერვლის 3-ს დ. ხონში დაარსებული „პირველი მეაბრეშუმეთა ამხანაგობა ქუთაისის გუბერნიაში". ხსენებულ ამხანაგებისთვის შედგენილ პირობებს მკითხველი გაცნობილი იქნება. ეს თეორიული მხარეა და ჯერ საჭიროთ არ მიგვაჩნია ამაზე ლაპარაკის ჩამოგდება. ჩვენ შევეხებით ამხანაგობის წარმოებას და მის პრაქტიკულ კითხვებს.

გარეგნობით ვიცით, რომ წასული ორი წლის წარმოებიდან ამხანაგობას მოუგია პირველ წელში მეტი და მეორეში ნაკლები შედარებით; მაგრამ ის კი არ ვიცით, რა გვარი ჩარხით ტრიალებს ამხანაგობა; რა მოგვიტანს მოგებას, ანუ რა წაგვაგებიებს. არ ვიცით, რა წეს-რიგშია დღევანდელი წარმოება ჩაყენებული და რა გვარი მიმართულება ეძლევა მას მომავალში. ესენი უნდა გავარჩიოთ თანდითან ამ წერილის ბოლოში...

(შემდეგი იქნება).

## გოჯასპირ და ივანიკა.

გოჯასპირ. ოჰ, ივანიკა, ჩემო სულის კოლოფო, ჩემო მოწყენილობის ტალკვესო, სად დამეკარგე, სად იყავი, რომ ამდენ ხანს არ მომკარებიხარ. შენ რომ გვერდით აღარ მყავდი, კინაღამ ობი მომეკიდა თვალებზე ძილისაგან. ამ მოწყენილობაში რომ ვიყავი, ერთხელ წამათრიეს „ივერიის" რედაქციაში სადარბაზოთ და, შენს მტერს, რაც მე დამემართა. იქ სამმა თანამშრომელმა მაგარი ქართული ლანძღვით თავის ტვინი წაიღეს; ერთი იყო ვარიანელი, მეორე ნიჩბისელი და მესამე კი არ ვიცი, საიდან იყო გადმოვარდნილი. ეს კი ვიცი, რომ პატარაობისას ნახირში დაკარგულიყო, ჩამოსულიყო თფილის ქალაქს, კინტოებს გამოეზარდათ და ისეთი მაგარი ლანძღვა-გინება ესწავლებინათ, რომ რათ გინდა! ღვთის წყალობასაც ვერ ეტყოდი, რომ არ შემოეკურთხებია. ამათ დარჩათ ეხლა ბურთი და მოედანი. ისე მომაბეზრეს თავი საძაგელი ლანძღვა-გინებით, რომ გამოვექეცი ჩემი მტერი ჩავარდა იმათ ყბაში: თუ რამე უთხარი, ისე გაგხდიან, მტკვარიც ველარ გაგრეცხავს.

ივანიკა. კი ვიცოდი ჩემო გოჯასპირ, რომ შენ უჩემოთ ვერ იხეირებდი და ვერც არავინ გაგიწევდა

ჩემისთანა კაი მეგობრობას, მარა შენც ერთი ქინიანი მეგობარი გამომადექი. რასაც ერთხელვე ამოიცდენ პირიდან, ალარაფერი გეშველება; უნდა შეასრულო. აპა, რა შენი საქმე იყო, ,,ივერიაში‘‘ წაბაჯბაჯება. ახლა ჩემი ამბავი არ გინდა იკითხო?.. შინ რომ მიველი, ოჯახი არეული დამიხვდა. ერთი ვინცხა გადმოვარდნილიყო ქალაქიდან... რაცხა უწმაწური გვარი მითხრეს: ხოკიაო, თუ სახოკეო, კარგათ არ ვიცი...



გოჯასპირ. ჰა, ჰა, ჰა, ჰა!.. კაცო, რას ამბობ?.. ეგრეთი გვარი როგორ იქნება? ხოკიო!.. ე, ლორის სენი საიდან გამოჩენილა?.. ეგ ტიალი არ იყო შარშან ზამთარში რომ კახეთის მეღორეები აზარალა?.. ვისაც კი ლორის ჯოგი ჰყავდა, როგორც ჭერეხი, სუ ისე დააგო მიწაზე. დიდი ზარალი აჩვენა მაგ წყეულმა ავთმყოფობამ გასულ წელს კახეთის მებატონეებს.

ივანიკა. იმას ნუ მოეშალა მართლა ხოკი!.. ის უწმინდური, ის! მართლაც სახოკე. იგი ვინცლა სახოკე ყოფილა, რომ იცოდე, რანაირი ჭორები არ დეერხია იმერეთ-გურიაში და სამეგრელოში!., ახლათ-ახლავე მოაგროვეთ რაც ,,კვალები‘‘ გაქვთ გამოწერილი და უკანვე გოუგზავნეთ რედაქციას, თვარა ყველა დეილუპებითო. ბძანება გამოსულაო, ვინც ,,კვალს‘‘ და გ. წერეთლის სტატიებს იკითხავს, იგინი ყველა სომხის რჯულზე უნდა მოინათლონო. მისთანა შენ მტერს, შენს ივანიკას დეემართა. ჯერ შინ არ შემედგა ფეხი, მაშინათვე ცოლშვილმა დამიტატანა: ივანიკა ხარ შენ!.. გაურჯულებული ივანიკაო!.. კვალის რედაქციიდან თუ მოდიხარ, ტყულა ნუ მოგვეკარებიო! გასომხებული იქნები, ისთევე მოინათლე და მაშინ შემოგიშვებთ, თვარა უმისოთ ვერაო!.. თა, თა, თა, თა!! დეიკარგე აქედან, ალარ მოგვეკაროვო!..—შემომძახა ცოლშვილმა. დევიწყე პირჯვარი, ეს რა ღვთის რისხვა მოევლინა-თქვა—ამ ჩემ ოჯახს! ვინ გააგიჟა-თქვა ასე, რომ ალარც ღვთის ეყურება და ალარც კაცის-თქვა. მერე მეც ქე შევუტიე: რას ლაპარაკობთ, რამ გადაგრიათ, ვინ შეგშალათ მასთე ჭკუაზე-თქვა? ბრევლი ველაპარაკე აქეთური, იქითური... ბოლოს რავარც იქნა, დავამშვიდე ჩემი გადარეული ცოლშვილი და მერე გამოვკითხე, რავა იყო საქმე.. შენ მტერს მე იმათ ამბავი მითხრეს. თურმე იგი ვინცხა სახოკე ყოფილა, დოუგულებია ისეთი დრო, როცა მე შინ არ ვიყავი... შესულა, ბატონო, ამ ჩემ პატიოსან ოჯახში... ხომ კი იცი, გოჯასპირ, თხაი რომ ბოსტანში შევარდება, ბოსტნეულობას სულ ერთიანათ გადაჭამს!.. შემოსულა ამ ჩემ პატიოსან ოჯახში ის ვინცხა მართლა სახოკეა, ბატონო, და რა ჭორები, რა საძაგლობა არ ულაპარაკნია ,,კვალზე‘‘, გ. წერეთელზე, ჩემზე, შენზე, ჩემო გოჯასპირ, და, ხომ მოგეხსენება, ნათქვამია, დედაკაცს თვალში და ყურში აქვს ჭკუაო. ქე არ გადუბირებია თავისკენ!.. მეო მეცნიერი კაცი ვარ, ახალი ქართული ენა უნდა შევიდოვო, ლექსიკონიც კი შევადგინეო, ჩემი ქართული თითონ ,,ცნობის ფურცლის‘‘ წარჩინებულმა თანამშრომელებმა: პაატელამ, იაკობამ და ნიკიტელამ ცამდის ეიყვანესო. აპა, იფიქრე!.. ჩემ ცოლს მაინც ქე ენატრებოდა მეცნიერების გაცნობა და თურმე აგი სახოკე ქე მიადგა კარზე. მოგეცა სიცოცხლე, ჩემმა ცოლმაც გოუშალა, ბატონო, სუფრა და სულ ,,მრავალ ჟამიერ‘‘ და ,,გოუმარჯოს‘‘ აძახა... ბოლოს ხომ კი იცი, ჩემო გოჯასპირ, ჩვენებური დედაკაცის ჭკუის სიმჩატე, იმ წყეულმა სახოკემ ქე არ გააბრიყვა და თურმე ,,კვალზე‘‘ ლანძლვის წერილიც კი გააგზავნია დასაბეჭდათ!.. მართალია რათიც იქნა, თქვენი მოახლე ისთევე მოვარჯულე, მარა ვინ იცის!.. გული კიდო არ მაქვს, ჩემო გოჯასპირ, საგულიეს!.. ამ წამხდარ დროში ალარც ქალის დეიჯერება რამე და ალარც კაცის.

გოჯასპირ. კაცო ე მაგისთანა გვარი მეც გამახსენდა. ეგ ის ხომ არ არის, შარშან რომ რაღაც წიგნი დაბლაჯნა და გაზეთებში აცხადებდა: ვის გინდათ, თითო აბაზათ, ქალებს მოგყიდითო.

ივანიკა. უი, უი!.. ახლა მეც ქე მივხვდი. იგი არ იყო, რომ შარშან ერთი უწმაწური წიგნი შეედგინა, აკაკის ნაკვესებიაო იძახოდა. ყდაზე აკაკის სახეც დეეხატვინებია და აბაზათ ყიდიდა, ჰო, ახლა კი ვიცი. იგია, იგი, ლიტერატურული ნაწარმოებები რომ საჩარჩო საქმეთ გოუხდია.

გოჯასპირ. მერე, განა მარტო ეგ არის მაგისთანა?.. მაგისი დამწყები ერთი ვინღაც მეზურნეთა უსტაბაშია. აი, მაგან გამოიჩინა ნამდვილი ლიტერატურული-ჩარჩობა. ეხლა ბეჭვდით ქორების დიდი ვაჭრობა აქვს გამართული.

ივანიკა. მოიცა, მოიცა, მაგის ნამდვილი გვარი რავარც გამიგია, ლუნია უნდა იყოს. ამბობენ, ლუნია იმიტომ დეეთქვაო, რომ პირველათ ის ერთ ბანკში იყო თურმე დაქირავებული წერილების და განცხადებების წასაღებ-წამოსაღებათ. ის თურმე წელსავით იყო წელში მოქნილი და, როცა ბანკირს წარუდგებოდა, პატივისცემის ნიშნათ წელში გედილუნებოდა ხოლმე. ამიტომაც დაარქვეს იმას ლუნია.

გოჯასპირ.—მართლა, დიდი ხანი არ არის, რაც ის სცემს ერთ გაზეთს, რომელიც ყოველი ქორით სავსეა და რადგან ქორს ჩვენ ქვეყანაში ყოველთვის კაი მაზანდა აქვს, იმის გაზეთსაც უსაქმო კაცები გულდასმით კითხულობენ. ამ ბოლო დროს ამ გაზეთს მეჭორეებს გარდა პოლიციის ბოქაულებიც კითხულობენ, რადგან იქ ყოველ ქურდბაცაცას ბიოგრაფია დაწერილებით არის ხოლმე მოთხრობილი. ამას გარდა თუ რომელიმე პოლიციის ბოქაული შემთხვევით ცხენიდან გადმოვარდა და მკლავი მოიტეხა, ქორის ფურცელი მაშინვე დაფნის გვირგვინს დაადგამს თავზე და ისეთ მსოფლიო გმირათ გამოიყვანს, როგორც გარიბალდი და ვაშინგტონია. აწ ნეტავი საქართველოს, რაღა გვიჭირს... თურმე ჩვენში ვაშინგტონები და, გარიბალდები ბჟარივით გამრავლებულან! ეჰ, მახლას!..

ივანიკა. იიმე!.. შენ ნუ მოუკვდე ჩემ თავს, გოჯასპირ, გუშინდელმა თავად-აზნაურობის ბანკის არჩევანებმა გამაკვირა, მარა რა გამაკვირა!.. ამისთანა მშვიდობიანობა და სიყვარული, ამისთანა თანხმობა ჯერ არ ყოფილა! ეს რა მოჩვენებიათ-მეთქი. რამ მოახდინა, ასეთი სასწაული, რომ მგელი და კრავი ასე ძმურათ შეთანხმებულან-თქვა. შევიჭერი ჩვენი ბანკის დარბაზში, საცა თავად-აზნაურობის კრება იყო და გავშტერდი. ისეთი სიჩუმე იყო, რომ ბუზის ბზუილს გეიგონებდი. ასეთ რომ ყოფილიყო კიდევ ცოტა ხანი, ჩვენი საბანკე სენატორები ყველა ხვრინს ამოუშვებდენ, მარა, მოგეცა სიცოცხლე, ჩვენ ბანკირებს მოსაზრება ჰქონდესთ. მაშინათვე მიხდენ, რომ გლახათ არისო საქმე და გადაწყვიტეს ისევ თავისიანებში თვალის ქნევით ბაასის გამართვა. მართლაც კრებამ ამას შემდეგ თვალები გამოაჭყიტა, სწორეთ ახალი ოპოზიცია მოსულაო—იფიქრა—და მერე ქე წევიდა კარგათ საქმე. ყველა საქმე გაარჩიეს, პროტოკოლებიც დაწერეს, ხელი მოაწერეს, მერე მოყვენ კენჭის ყრას. დარბაზში რომ შევიხედე, დაცალიერებული მომეჩვენა და გული გამისკდა. ვუყურებ, ამ კრებაზე თითო ოროლა კინკილა მეკენჭეები დახტიან კიდო გაქლეტილ კალიებსავით. ამ დროს გევიხედე განზე შემოსასვლელ კარებში და შევნიშნე, რომ იქ სამი უშველებელი დევივით ქალი ჩამდგარიყო და ხელში გძელ ქორგებს ატრიალებდენ. ვის უცდით მაქანათ—თქვა— შევეკითხე ერთ წმინდა მანდილოსანს. იმან გადმომიპრიალა თვალები და მიპასუხა: ვინც აქანა შამოვა ამ კენჭის ყრაში შავის ჩასაგდებათ, იმას ეს ქორგები უნდა გადავატეხოთ თავზეო... ამის მერე, რავარც შევიტყვე, კენჭის ყრაში სულ აღარ მიჰკარებიან კათაკმეველნი. გათავდა კენჭის ყრა და „ვაშას“ ძახილს საზღვარი არ ჰქონდა. მე მარტო იმან გამაკვირა, რომ დარბაზში ორი, სამი მეკენჭე თუ კინკილობდა მეტი არა და ყუთებში კი ხუთასამდის ჩავარდნილიყო თეთრი კენჭი. მარა ახლანდელ დროში არაფერია გასაკვირი. თუ იგი კი მოიგონეს, რომ ყუთებს ალაპარაკებენ და ამღერებენ, რატომ იგიც არ შეიძლება, რომ კენჭები თავისთავათ ცვივოდენ საარჩევანო ყუთებში. ხალხში გევიგონე, რომ ჩვენი ბანკირების გათეთრება ქალების ბრალი ყოფილიყო. იმითმა ქორგების ტრიალმა თურმე ყველა კათაკმეველები დააფთხო და კრებაში მარტო მართლ-მორწმუნენი დევსწრენ.

გოჯასპირ. ჯან, ჩვენო ქალებო!..

ხიზრეული.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.


ХАРЬКОВСКАЯ

ЗУБОВРАЧЕБНАЯ ШКОЛА

**ОТКРЫВАЕТСЯ СЪ 1-го СЕНТЯБРЯ.**

Принимаются прошенія отъ лицъ, желающихъ получить званіе зубнаго врача или дантиста.

Съ разрѣшенія г. попечителя учебн. окр воспитанники школы имѣютъ свободный входъ въ анатомическій театръ и лабораторію университета. Составъ лекторовъ слѣдующій: профессора универ. гг.: Поповъ С., Бѣлоусовъ, Додукаловъ, Орловъ и Репревъ; лаборантъ унив. Θедоровскій и докт. мед. Немировскій. Обращаться къ учредителю д-ру Немировскому (Николаевская площадь, д. Штейфона). (4—1).


Доз. ценз. Тифлисъ, 31 Мая 1897 г. Тип. М. Д. Ротиніанца—სტამბა, მ. დ. როტინიანცისა Гол. пр. д., № 41.